საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

-გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.

№ 226 (505)

ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 1992 წელი

ფასი 2 მანეთი

## წუხელ შეიტყვეთ

### მოწინააღმდეგე უკუაგდეს

2 ნოემბერს დილის 4 საათზე აფხაზთა შეიარაღებულმა ჯგუფებმა შეუტიეს ქალაქ ოჩამჩირეს. ქალაქ ოჩამჩირესა და მის მიდამოებში დისლოცირებულმა ქართულმა სამხედრო ნაწილებმა შეაჩერეს შეტევა და გადავიდნენ კონტრიერიშზე. მათ რამდენიმე კილომეტრზე განდევნეს მოწინააღმდეგე და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს.

**თავდაცვის სამინისტროს საპრესსამსახური.**

### ელექტროენერგია თურქეთიდან

დღე-ღამეში ორი მილიონ კილოვატსაათ ელექტრო ენერგიას იღებს პირველი ნოემბრიდან საქართველოს ენერგო სისტემა თურქეთიდან. იგი საკმარისია, რათა მთლიანად დაკმაყოფილდეს ენერგიაზე მოთხოვნილება რესპუბლიკის ტერიტორიაზე თურქეთის საზღვრიდან ქობულეთამდე. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ელექტრო ენერგია უფრო თანაბარზომიერად მოვიხმაროთ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. თურქეთიდან ენერგია საქართველოში შემოვა მომავალი წლის აპრილამდე.

### მეტი ყაირათიანობა

საქართველოს პურსაცხობი მეურნეობა მზად არის აწარმოოს 400, 800 და 1200 გრამი წონის პროდუქცია. მუშავდება რესპუბლიკაში 50 ათასი ტონა ფქვილის შემოტანის შესაძლებლობა. ამავე დროს, კვლავინდებურად მწვავედ დგას მაღაზიებში პურის მისატანად სპეცავტოტრანსპორტისათვის საწვავის გამოყოფის საკითხი. ეს პრობლემები იყო მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომის ყურადღების ცენტრში, რომელიც საქართველოს ვიცე-პრემიერის პაატა კოღუაშვილის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

მის მონაწილეებს დაუშვებლად მიაჩნიათ ვითარება, როცა, მაგალითად, დედაქალაქში პურის მანქანებს არა აქვთ რამდენიმე დღის საწვავის მარაგიც კი. ხოლო ყოველდღე, ფქვილის გადასატანად და პურის გასაზიდად საჭიროა 20 ტონა ბენზინი. კომისიამ შესაბამის უწყებებს დაავალა მეტი გულმოდგინება გამოიჩინონ ამ პრობლემის გადაჭრისათვის. აგრეთვე გამოძებნონ 40 ტონა დიზელის საწვავი ახალქალაქის რაიონიდან ყველის პარტიის გადმოსატანად.

ვაჭრობის სისტემის მუშაკები მორიგდნენ მისაღები ფასით რამდენიმე ათასი ტონა კარტოფილის ყაზახეთში შესყიდვის თაობაზე, მაგრამ განა სწორია, როცა ამ დროს არ იღებენ ყველა ზომას საკუთარი კარტოფილის იგივე ახალქალაქის რაიონიდან გამოტანისათვის? სხვათა შორის, მის მოსახლეობას კიდევ დარჩა სარეალიზაციო კარტოფილი, მაგრამ დრო უკვე ხელიდან გაუშვეს და ახლა შემოთავაზებული შესასყიდი ფასი სულ სხვა არის — კილოგრამი 35-40 მანეთი.

უზბეკეთიდან საქართველოსაკენ უკვე წამოვიდა 1500 ტონა ხახვი. რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნა კომბოსტოზე შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ მარტო კასპის რაიონის რესურსების ხარჯზე. და ახლაც საჭიროა ოპერატიულობა და ნამდვილი ყაირათიანი მიდგომა.

## ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

**ფაქტი მოვლენა კომენტარი**



## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომა გაიმართება 1992 წლის 4 ნოემბერს 10 საათზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სხდომათა დარბაზში.

პარლამენტის წევრთა და მოწვეულ პირთა რეგისტრაცია იწარმოებს 4 ნოემბერს 8 საათიდან.

დღეს გაიმართება საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა. გუშინ ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გადაიღო პარლამენტართა ერთი ჯგუფი.

სურათზე: პარლამენტართა ჯგუფი: მარცხნიდან — ნიკო ლეკიშვილი (დიდუბის საარჩევნო ოლქი), ზაზა სიხარულიძე (ღვთისშვილთა კავშირი), გია ციხისთავი (ბლოკი „ერთობა"), გურამ მუჩაიძე (სოციალ-დემოკრატიული პარტია), კონსტანტინე სალია (ბლოკი „ერთობა"), არჩილ ოსხელიანი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული კავშირი), გიორგი ჯინჯარაული (საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირი). როგორც მათ განაცხადეს, დიდი იმედისა და მომავლის რწმენით იწყებენ ახალ საპარლამენტო ცხოვრებას.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

### დღეს საქართველოს პარლამენტი მუშაობას იწყებს

# იმედის გრძნობა სჭარბობს

### პარლამენტარები უპასუხებენ რედაქციის სამ კითხვას

ამ დღეს მოუთმენლად ველოდით: დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი პარლამენტი მუშაობას იწყებს. დგება სადაგი დღეების ჟამი.

რედაქციამ სამი კითხვით მიმართა სხვადასხვა ბლოკის თუ პარტიის წარმომადგენლებს:

1. როგორი განწყობილებით მიდიხართ სესიაზე — საზეიმო? საქმიანი? თუ კიდევ სხვა რაიმე განსაკუთრებული გრძნობა გაქვთ?
2. არჩეულია საკანონმდებლო ორგანო, რომელიც პირველ სესიაზე აღმასრულებელ ხელისუფლებას აირჩევს. მთავრობის წევრების არჩევისას პირადად თქვენ რა პრინციპით იხელმძღვანელებთ?
3. პრობლემების მეტი რა გვაქვს, მაგრამ უმწვავესი მაინც ორია ალბათ. ეკონომიკაში — პური, პოლიტიკაში — აფხაზეთი. პირადად თქვენ როგორ მოუვლიდით ამ საკითხებს?

**გურამ უსტიაშვილი** (დემოკრატიული პარტია):

1. საქმიანი, სერიოზული, პრინციპული საქვეყნო ინტერესებიდან გამომდინარე მტკიცე და შეუვალი განწყობილებით ვხვდები პარლამენტის პირველ სესიას.

2. რისთვის იქმნება მთავრობები საერთოდ? იმისათვის, რომ მართავდეს, წინ მიუძღოდეს საზოგადოებას, ხალხს, სახელმწიფოს. ჩვენ ვერ მოვთხოვთ, რომ მმართველები უძლეველნი იყვნენ, ასეთები ძალზე ცოტანი მოიძებნებიან ისტორიაში. ჩვენ გვჭირდება მამაცი, მცოდნე, საქმიანი, პატიოსანი ხელმძღვანელები, რათა შეიქმნას ხალხის ინტელექტუალური და ნებისყოფითი ძალების სრული გამოვლენის შესაძლებლობანი, რამაც უნდა იხსნას ჩვენი სამშობლო სრული კატასტროფისაგან და განვითარების მაღალ დონეებზე გაიყვანოს იგი, თუ არა, მოსალოდნელია კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა, როგორც ჩვენი სიმხდალის, უმეცრების, გამცემლობის საზღაური. ამ განწყობით ვიხელმძღვანელებ მთავრობის არჩევის დროს.

3. პური მხოლოდ არსებობის კი არა, ადამიანთა დამონების საშუალებაც არის. ამიტომ უთუოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ფასები მასზე — ამისათვის უნდა შეიქმნას სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც ყველა მონაცემის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე წარუდგენს პარლამენტს სათანადო რეკომენდაციებს ამ პრობლემის მოგვარებისათვის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი რომელიმე ქვეყნის ფასების მექანიკურად გადატანა მეორე ქვეყანაში გაუმართლებელია. მაშინ ხელფასიც ასევე უნდა იქნეს გადატანილი. ამიტომ ჩვენთან უფრო მიზანშეწონილია დაწესდეს გარანტირებული საბარათო სისტემა პურზე. ამავე დროს აქედანვე უნდა დაიწყოს მუშაობა საქართველოში მარცვლეული კულტურების წარსული ისტორიული ტიპის აღსადგენად.

რაც შეეხება აფხაზეთს: იქ ომია. ჩემი აზრით, საჭიროა საქმე მოგვარდეს სამხედრო პოლიტიკის მთავრობის მიერ აქტიური გამოყენებით.

**მალხაზ კვანჭილაშვილი** („ქარტია-91"):

1. განწყობილება საქმიანია, გაცნობიერებული მაქვს ის პასუხისმგებლობა, რომელიც ამ ურთულეს ეტაპზე ეკისრება პარლამენტის ყველა წევრს. მიუხედავად მძიმე ვითარებისა, იმედს არ ვკარგავ, რომ ჩვენში ბოლოსდაბოლოს დაიწყება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესი და მზად ვარ ვითანამშრომლო ყველა იმ ძალასთან, რომელიც ამ პროცესში იმოქმედებს საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

2. უზენაეს საბჭოში მუშაობამ დამარწმუნა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მთავრობის სწორად დაკომპლექტებას და რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს კანონმდებლობის მიერ ასეთ დროს დაშვებულ უპრინციპობას ან უგულისყურობას. ვფიქრობ, მთავრობის წევრისათვის აუცილებელი თვისებებია პატიოსნება, საქვეყნო ინტერესების ერთგულება და პროფესიონალიზმი.

3. პრობლემები, მართლაც, ბევრია და ისინი ისეა გადაბმული ერთმანეთს, რომ უმთავრესისა და ნაკლებ მნიშვნელოვანის განცალკევება ხშირად ჭირს. ვფიქრობ, თქვენს მიერ ნახსენები ორი პრობლემაც უნდა განიხილებოდეს ქვეყანაში ვითარების საერთო სტაბილიზაციის ერთიან კონტექსტში. პურზე ფასების ნავარაუდევ გაზრდას აუცილებლად თან უნდა ახლდეს ხელფასების სათანადოდ მომატება და სხვა დამცავი სოციალური მექანიზმების ამუშავება. რაც შეეხება აფხაზეთის პრობლემას, აქ გადამწყვეტი მოქმედება უნდა დაიწყოს ზუსტად საჭირო დროს და საჭირო ფორმით. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა საგარეო და საშინაო პოლიტიკური ფაქტორი, რათა ჩვენთვის არასასურველი შედეგები აბსოლუტურად გამოირიცხოს.

**კონსტანტინე გაბაშვილი** (ბლოკი „ერთობა"):

1. ასე მგონია, საერთო განწყობილებას „მრავალფეროვანი" შეიძლება ეწოდოს. რასაკვირველია, ეს სიხარულიც არის — კარგია, არჩეული პარლამენტი რომ ამუშავდება, თან მართლაც მრავალპარტიული და თან მძლავრი აქტიურობით არჩეული. ეს შიშიც არის — ვაი თუ, ან ძალზე უსახური „მორჩილი უმრავლესობის" ემოციებით არ წარიმართოს პარლამენტის მუშაობა, ან პირიქით, საკუთარი თავის ან პარტიული ჯგუფური წარმოჩენის სურვილმა არ დაბლოკოს ყოველი გადაწყვეტილება. ეს განწყობილება ზრუნვაც არის — პარლამენტი ვალდებულია სწრაფად ააწყოს თუნდაც ის პირველი სტრუქტურები ხელისუფლებისა და მართვისა, რომელიც ელექტორატის ნდობას უპასუხებს. ეს განწყობილება საგანგებოა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ომის მდგომარეობაშია, განწყობილება სამუშაო — ეს ბუნებრივია. სიმართლე გითხრათ, განწყობილება შესაძლოა ოპტიმისტურიც იყოს და, წარმოიდგინეთ, სასეიროც — დიდი შანსია ამგვარი სცენებიც გათამაშდეს... და ასე შემდეგ.

2. არა მგონია, სადაო იყოს — იქნებ, ამჯერად მაინც აღსრულდეს ხალხის სურვილი — ხელისუფლების და მთავრობის სტრუქტურები დაკომპლექტდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა კიდევ ოთხი თვისება, რომლის მიხედვითაც ვეცდები გავაკეთო არჩევანი. ესაა მაღალი ზნეობა, რეფორმისტული აზროვნება, ეროვნული და საკაცობრიო იდეალების თაყვანისცემა და კულტურა ამ სიტყვის მაქსიმალური გაგებით. თუ რომელიმე თანამდებობის პირს ერთი მაინც დააკლდება, უკმარისობის გრძნობას ვერ ავცდებით.

3. პურსაც და ომსაც მიზეზები შიგნითაც აქვს და გარეთაც. თუ საგარეო ვითარება ყოველთვის ჩვენი გადასაწყვეტი არაა, ჩვენი პოზიცია მაინც უნდა იყოს სწორი, ესე იგი, გონივრული, ფრთხილი, პატიოსანი და ვაჟკაცური ერთდროულად. რაც შეეხება ამ პრობლემების შიდა ასპექტს, მგონია, რომ სამხედრო საქმე გამოსწორებისაკენ მიდის, პურისა კი... სასწრაფოდ უნდა დამუშავდეს პურის გარანტირებული სიობრივი გაყიდვა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუნდაც მოქნილი, მაგრამ დადგენილი გრაფიკით; მკაცრად განვსაზღვრავდი პურის რაოდენობას, რომელიც საზოგადოებრივი კვების ობიექტებში შედის და, რაც მთავარია, უმკაცრეს კონტროლს დავაწესებდი პურის ფქვილიდან დაწყებული, გამომცხვარი პურის ჩათვლით — ზუსტად მომხმარებლამდე, ანუ მოქალაქემდე მიდის თუ არა გარანტირებული პურის ულუფა; სასტიკად დავსჯიდი კორუფციის ყოველ ფაქტს. სხვაგვარად შეიძლება გაუთვალისწინებელ პრობლემებს გადავაწყდეთ. საჭიროდ მიმაჩნია პურის ფასის ზრდა მისი ყიდვის გარანტირებისთვის, მაგრამ იმავდროული ფულადი კომპენსაცია ასი პროცენტით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

**ჩაბუა ამირეჯიბი** (საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი):

1. ჩემთვის ერთადერთი საკითხია მთავარი: ვშიშობ პარლამენტის ზოგიერთი პოპულისტი დეპუტატი საქართველოს და ქართველი ერის კეთილდღეობისათვის კი არ გამოიყენებს მიკროფონს, არამედ თავისი პარტიისა და პირადად თავისი ინტერესებისათვის. ამის შესაძლებლობა თავიდანვე უნდა აღიკვეთოს.

2. ერთადერთი პრინციპით: კაბინეტის წევრების კანდიდატურების დამტკიცებისას მხარს დავუჭერ პატიოსან, უანგარო პროფესიონალებს.

(დასასრული მე-2 გვ.).

# ქვემეხები ქუხდნენ, მუზები კი... არ დუმდნენ

### საქართველოს კულტურის მუშაკები სოხუმში

როგორც კი იაკ-40 თვითმფრინავმა სიმაღლე აიღო, სალონის მგზავრები მუშაობას შეუდგნენ, საქართველოს კულტურის მოღვაწეთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სახელგანთქმული მსახიობები რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, კახი კავსაძე, ეთერი ლოლაშვილი, ჯემალ ღაღანიძე, თამარ დოლიძე, სოსო ლაღიძე, მწერალი გურამ ფანჯიკიძე, საესტრადო მომღერლები მედეა ძიძიგური, ეკა მამალაძე, დაიწყო სოხუმში მომავალი გამოსვლის გეგმის განხილვა.

— აფხაზეთის საზოგადოებრიობასთან და მეომრებთან ამგვარი შეხვედრების აზრი, პირველად გამოითქვა ქართული კულტურის დაცვის კომიტეტის სხდომაზე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს კომიტეტის წევრმა ვალერი ასათიანმა, — აფხაზეთის მოსახლეობას, სადაც დღეს ომი მიმდინარეობს, ყველაზე მეტად სჭირდება კულტურის მოღვაწეთა მორალური მხარდაჭერა და ყურადღება. ეს პირველი ორგანიზებული გამგზავრებაა, რომელსაც სხვები მოჰყვება.

მსახიობების ჩამოსვლის ამბავი მოსახლეობამ არ იცოდა. თეატრი დიდი ხნის მანძილზე გამოუყენებელი შენობის იერით შეგვხვდა. როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ჯინო კალანდიამ თქვა, მწერალთა და მსახიობთა ნაწილი მოხალისედ წავიდა საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

საქართველოს კულტურის მოღვაწეთა დელეგაციამ სოხუმში ჩამოიტანა „მეფე ლირის" ნაწყვეტი, მსახიობებმა არ დაიშურეს ძალ-ღონე და დრო, თან წამოიღეს მძიმე ჩემოდნები რეკვიზიტით და სოხუმელ მაყურებელთა წინაშე შექსპირისდროინდელი კოსტიუმებით წარდგნენ.

ადგილობრივი ტელევიზიით გამოცხადების შემდეგ, გასტროლიორებით მუდამ განებივრებული სოხუმელი მაყურებელი, რომელსაც უკვე დიდი ხანია მონატრა კონცერტები და სპექტაკლები, ამასთან, ტალალა საარტილერიო კანონადამ, . თეატრში შეიკრიბა. ჯეროვნად უნდა დავაფასოთ მაყურებელი, რომელიც სიბნელისა და საფრთხის მიუხედავად, კონცერტს დაესწრო. ექსცესიც მოხდა — ქალაქში სინათლე გამორთეს. საქმე [illegible] რომლებიც ყოველი მხრიდან გამოითქმოდა. მთავარია მსახიობთა რეაქცია. „სცენას არ დავტოვებთ, სანამ არ დავითამაშებთ, იმედს არ გავუცრუებთ მაყურებელს", განაცხადა მეფე ლირმა — რამაზ ჩხიკვაძემ და მას დაუჭირა ყველამ მხარი.

თეატრი იმ დროს ჩაბნელებულ ქალაქში სინათლის ოაზისად გამოიყურებოდა. როგორც ჩანს, ელექტრიკოსებმა ამძრავი აამოქმედეს, რათა წარმოდგენა არ ჩაშლილიყო. კმაყოფილი დარჩა ყველა: მაყურებელი, რომელიც საყვარელ მსახიობებს შეხვდა, და თავად მსახიობებიც.

მაგრამ კულისებშიომა ნაღველი იგრძნობოდა. მარტო ის თუ ისმოდა: „ეჰ, გახსოვს..." და მოგონებათა მწუხრით აღსავსე ოხვრა. ერთ-ერთმა მსახიობმა ისიც თქვა, შედარებით მშვიდად მივემგზავრებით თბილისში. ისინი კი იქ დარჩნენ თავიანთი შიშით და პრობლემებით, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ერთი საათით მაინც ვაჩუქეთ ამ ადამიანებს ზეიმი, რომლის დროს დაივიწყეს სამხედრო დროის მთელი გასაჭირი.

ომმა კვლავ შეგვახსენა თავი თეატრიდან გამოსვლისთანავე. შევაბიჯეთ ბნელსა და სიჩუმეში, რომელსაც არღვევდა კანტი-კუნტი სროლა.

...შევჩერდით ავიახაზთა შტაბთან. სიბნელიდან გზაზე გამოდიოდნენ ყმაწვილები, რათა „იკარუსის" ფარების შუქზე სამახსოვრო სურათები გადაეღოთ. ავტომატების გამოსათხოვარი ზალპით წაგვაცილა ავტობუსი აეროპორტისაკენ.

მომავალ შეხვედრამდე, აფხაზეთო! მალე დამდგარიყოს მშვიდობა ამ ქართულ მიწაზე!

**ლარისა თუმანიშვილი.**

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის საქმეებში გიორგი ხაინდრავა საუბრობს მდგომარეობაზე რეგიონის „ცხელ წერტილებში".

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ნომერში

⊙ ეს დადასტურების არჩევნები იყო. 3

⊙ ტყიბულელი მოსახლეობა შველას თბილისიდან მოელის. 4

## ულოცავენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ძვირფასო ბატონო თავმჯდომარევ,

ნება მიბოძეთ, ვისარგებლო შემთხვევით და გულითადად მოგილოცოთ დიდი გამარჯვება — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა.

ეს მოვლენა დიდ ღირსებას სძენს ამაყ, დემოკრატიულ რევოლუციას, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკა მოიცვა. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სენატის წევრი, მოუთმენლად ველი თქვენთან და ქართველ ხალხთან საქმიან თანამშრომლობას მომავალში და ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობათა გაფართოებას.

მძიმე დღეები უდგას საქართველოს. საქართველოს მთავრობასა და აფხაზ ნაციონალისტებს შორის სამოქალაქო ომის მუქარა შეშფოთებას იწვევს დემოკრატიულ საზოგადოებრიობაში. მე მთლიანად ვუჭერ მხარს თქვენ ძალისხმევას კონფლიქტის პოლიტიკური გზით გადაჭრის ძიების საქმეში. დარწმუნებული ვარ, თუ დღეს არსებობს სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ამ კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის უნარი შესწევს, ეს ედუარდ შევარდნაძეა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას შეერთებულ შტატებში თქვენი შემდგომი სტუმრობისას.

პატივისცემით,

**ედუარდ მ. კენედი.**

## ნუ აჰყვებით პროვოკაციებს

### საქართველოს რესპუბლიკის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის დეკლარაცია

დღეს, სამამულო ომის პირობებში, როდესაც ბეწვზე ჰკიდია ჩვენი ქვეყნის მთლიანობა, როცა დარღვეულია ომის საყოველთაოდ მიღებული წესები — უმოწყალოდ იხვრიტებიან სამხედრო ტყვეები და მათთან ერთად მშვიდობიანი, უიარაღო მოსახლეობაც, აწიოკებულია სოფლები, გაძარცული და გადამწვარია სახლები, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა წამების, სისასტიკისა და ძალმომრეობის ფაქტები, ადამიანის სიცოცხლეს ფასი აქვს დაკარგული სწორედ ამ დროს, მიუხედავად მძიმე საშინაო მდგომარეობისა, არნახული შინააშლილობისა, საქართველოს ყოველი მოქალაქე, სამართალდამცავი ორგანოები, ჩვენი კომიტეტი, ვალდებულია დაიცვას მშვიდობიანი ადამიანის განუყოფელი უფლებები. მისი სიცოცხლისა და პირადი ღირსების ხელშეუხებლობა.

კომიტეტი აცხადებს, რომ გამძვინვარებული დაპირისპირებისა და სასტიკი ომის პირობებშიც, ადამიანი რჩება ადამიანად, თავის ადამიანურ უფლებებთან ერთად, რომლებიც აღიარებულია საკაცობრიო მორალით და რომლებიც საფუძვლად უდევს ცივილიზებულ ცხოვრებას, სამართლებრივ დემოკრატიულ საზოგადოებრივ წყობას. და თუ ჩვენ, დამოუკიდებლობის მომპოვებელ ქვეყანას, რომლის საუკეთესო შვილები შეეწირნენ და კვლავ ეწირებიან მის თავისუფლებას, გვსურს ვაშენოთ თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოება, იმ არაადამიანურმა ფაქტებმა, რომლებსაც ადგილი აქვს საომარი მოქმედებების მთელ რაიონში, არ უნდა გვათქმევინოს უარი, ზნეობრივ პრინციპებზე, არ უნდა გვიბიძგოს შურისძიებისაკენ, რომელიც შეიძლება ჩადენილი იქნეს უდანაშაულოთა მიმართ.

კომიტეტი მოუწოდებს ქართველ ხალხს, საქართველოს ყოველ მოქალაქეს, ნუ აჰყვება პროვოკაციებს, ნუ ხელყოფს ადამიანის უფლებებს და ღირსებას; მისი დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების მიმართ, იყოს დამყარებული კაცთმოყვარულ პრინციპებზე და იმ ტრადიციულ ურთიერთობებზე, რომლებიც გამომუშავდა ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე. დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ საბოლოო გამარჯვება ეკუთვნის არა ძალმომრეობას, არა შურისძიების სისასტიკეს, არა შეურიგებლობას, ადამიანური პრინციპებისგან განდგომას, არამედ, კაცთმოყვარეობას, ჰუმანიზმს, მოწინააღმდეგის ღირსების პატივისცემას, რაც არ გამორიცხავს და არც ანელებს ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სულისკვეთებას.

ამ საბედისწერო განსაცდელში, რომლის ღირსეულად გადატანაზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი საზოგადოების ავ-კარგი, განსაკუთრებული მოვალეობა ეკისრებათ სამართალდამცავ ორგანოებს. კომიტეტი მოითხოვს მათგან და მოუწოდებს მათ, რომ მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, იხელმძღვანელონ ცივილიზებულ სამყაროში მიღებული უდანაშაულობის პრეზუმფციით, რათა ეს სამართლებრივი დოგმატი ერთხელ და სამუდამოდ დაედოს საფუძვლად ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომ არც დანაშაულში ეჭვმიტანილს და არც პატიმარს არ წაერთვას ადამიანური უფლებები, არ შეელახოს ადამიანური ღირსება.

კომიტეტი არ ირიდებს პასუხისმგებლობას ქვეყანაში არსებული განუკითხაობისთვის, სავსებით იცნობიერებს ხარვეზებს თავის მუშაობაში და ილწვის, რათა ქვეყანაში აამაღლოს სამართლებრივი შეგნება, რათა დაცული იქნეს საქართველოს ყოველი მოქალაქის თუ სტუმრის, ეროვნებისა და აღმსარებლობის განურჩევლად, ადამიანური უფლებები და პიროვნული ღირსების ხელშეუხებლობა.

დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ უსამართლობის მღაღადებელი ის ფაქტები, რომლებიც მოხდა და კვლავ ხდება აფხაზეთში, არ დარჩება დაუსჯელი. მათ საკადრის პასუხს მიაგებს მართლმსაჯულება. არაფერი დარჩება დაფარული და მიჩქმალული. გვახსოვდეს წმიდა სიტყვები: „არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს" (მათე, 10, 26) და გაფრთხილება: „მოვა შურისგება, ღვთის საზღაური" (ესაია, 35,4).

### ინტერვიუ ნომერში

### თევდორე რეუტი:

## მხოლოდ ცივილიზებული გზით

გუშინ ჩვენი გაზეთის პოლიტიკური სამსახური დაუკავშირდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალს გენერალ-ლეიტენანტს თევდორე მიხეილის ძე რეუტს, და სთხოვა რამდენიმე სიტყვით კომენტარი გაეკეთებინა იმ ვითარებისათვის, რომელიც უკანასკნელ დღეებში შეიქმნა ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ზოგიერთი იარაღის საწყობის ქართული სამხედრო შენაერთების მიერ დაკავების გამო.

— ოლქის სამხედრო საბჭო — აღნიშნა ბატონმა რეუტმა, აღნიშნულ ფაქტებს აფასებს, როგორც კანონსაწინააღმდეგოს. — ცხადია, რესპუბლიკაში არიან დესტრუქციული ძალები, რომლებსაც ხელს აძლევთ ერთმანეთს დაუპირისპირონ ქართველი ხალხი და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის არმიის სამხედრო მოსამსახურენი.

სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილი აქვს არ აჰყვეს ასეთ პროვოკაციებს და საქართველოს ხელისუფლებასთან, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებით გადაწყვიტოს ასეთი პრობლემები ცივილიზებული მეთოდებით, ყოველგვარი კონფრონტაციისა და დაპირისპირების, მით უმეტეს, ძალის გამოუყენებლად.

— ბატონო მთავარსარდალო, რას გვეტყვით, როგორი მდგომარეობაა ახალციხეში?

— ახალციხეში უკვე მუშაობას შეუდგა ე. წ. შერეული კომისია, რომელშიც გაერთიანებული არიან როგორც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, ისე საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, ცხადია, ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს, გააანალიზებენ შექმნილ ვითარებას და ოპერატიულად მოგვახსენებენ მუშაობის შედეგებს, რაც საფუძველს მოგვცემს მივიღოთ სწორი და ობიექტური ერთობლივი გადაწყვეტილება.

როგორც ახლახან მომახსენეს, გასული დღე-ღამის განმავლობაში აქ არავითარი ექსცესი არ მომხდარა. მძევლები, რომლებიც ქართულმა შენაერთებმა აიყვანეს, თავს კარგად გრძნობენ. ერთი სიტყვით, გადაწყვეტილი გვაქვს, არ გავართულოთ ვითარება და მოვიმოქმედოთ ისე, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდეს.

### დღეს საქართველოს პარლამენტი მუშაობას იწყებს

# იმედის გრძნობა სჭარბობს

(დასასრული)

3. პურის ულუფა უნდა გაიზარდოს 550-600 გრამამდე და მისი გაცემა უნდა მოხდეს საოჯახო სიების მიხედვით და არა რაიმე ტალონების მეშვეობით.

აფხაზეთის პრობლემა უნდა გადაწყდეს პოლიტიკური და სამხედრო ღონისძიებების ერთდროულად გამოყენების გზით.

**არჩილ იოსელიანი,** (საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი):

1. საზეიმოც, მაგრამ უფრო საქმიანი. სხვანაირად არც შეიძლება. დღეს შექმნილი მძიმე მდგომარეობა უკლებლივ ყველა პარლამენტარისაგან მოითხოვს უდიდეს მობილიზაციას, ჩვენი ერის, სახელმწიფოს გადასარჩენად კერძო, პარტიული ინტერესების გვერდზე გადადებას.

2. პარლამენტის პირველ სხდომაზე მოხდება რეგლამენტის კორექტირება და დამტკიცება. ჩვენ, პარტიათა წარმომადგენლები, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით წინასწარ არაერთხელ შევიკრიბენით იმ მწვავე მომენტების შესაჯერებლად, რომლებიც რეგლამენტს შეეხება. წარმოდგენილი ალტერნატიული რეგლამენტები უკვე შეჯერდა ერთმანეთს, თანაც შედარებით ადვილად, რადგან მას ეწოდება დროებითი. მომავალში მას დასჭირდება სერიოზული მუშაობა. უნდა შევიმუშაოთ მუდმივი რეგლამენტი, რომელშიც ყველა პარტიისა და ფრაქციის ინტერესები იქნება გათვალისწინებული.

3. ჯერ აფხაზეთზე ვიტყვი: საქართველო და მისი ხელისუფლება მაქსიმალურად ეცდებიან იქაური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. იმის გამო, რომ რეალურად საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის კეთილ ნებაზე არის დამოკიდებული, აქცენტი ძირითადად მასთან ურთიერთობაზე იქნება გადატანილი. აქედან გამომდინარე, ჩვენი ეკონომიკური ინტერესებიც რუსეთთან (მის სამანეთო ზონაში ვიმყოფებით) უნდა შევაჯეროთ, ამას რუსეთის ხელისუფლება ჩვენს საწინააღმდეგოდ ეკონომიკური ექსპანსიისათვის იყენებს. თუმცა ჩვენ შეგვეძლოა საქართველოსთვის გამოვეთხოვოთ კანონიერად კუთვნილი წილი როგორც ბუნებრივი რესურსებიდან, ისე სამრეწველო დახმარებით, რომელიც აგრერიგად გვესაჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველომ შეიძლება უარი თქვას რუსულ მანეთზე, რაც ორივე მხარეს ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს. საქართველო ეკონომიკურ თვითხსლოკადაში მოექცევა, ხოლო რუსეთისკენ დაიძრება ათეულ მილიარდობით გაუფასურებული ფულის ნიშნები, რაც იქ ინფლაციურ პროცესებს კიდევ უფრო გააძლიერებს, რუსეთი ამგვარ დანაკლისს აიტანს, საქართველო კი შეიძლება დაიღუპოს ან ნეოკოლონიურ ქვეყნად იქცეს. ამიტომ რუსეთთან ურთიერთობაში დიდი სიფრთხილე გვმართებს.

**მანანა ბიბინეიშვილი** (ბლოკი „მშვიდობა“):

1. განწყობილება — საქმიანი და იმედიანი; იმედიანი, თუ პარტიებსა და ბლოკებს შორის წინასაარჩევნო დაპირისპირებას განზე გადავდებთ და პირად ამბიციებს არ ვანაცვალებთ ქვეყნის ბედს. არა პოპულიზმი, არამედ უსახელოდ, უანგაროდ საქმიანობა ქვეყნის გადასარჩენად; იმედიანი, თუ პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობა ქვეყნის ხსნის მრავალგვარ გზათა დასახვას, ერთი მიზნისკენ სწრაფვას შეუწყობს ხელს და არა — დაქსაქსულობას.

2. დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება ძლიერი ხელისუფლება, ძლიერი სტრუქტურები და მართვის გონივრული სისტემა. მთავრობაში ასარჩევ პიროვნებათა პროფესიონალიზმი და ზნეობრივი მხარე მიმაჩნია განმსაზღვრელად. კაცმა რომ თქვას, უზნეობაცაა არაპროფესიონალისაგან პასუხისმგებლობის ტვირთვა. პროფესიონალობას პოლიტიკაში, ბევრი იჩემებს ჩვენში. ბევრი მათგანის საბედისწერო შეცდომის მოწმენი გავხდით, ისეთი შეცდომისა, პროფესიონალ პოლიტიკოსს რომ არ უნდა მოსვლოდა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გამსახურდიას ფენომენი, რომელმაც დაგვაქცია და დღემდე გვაქცევს, მათი ხელშეწყობის გარეშე არ დამკვიდრებულა. მეტი პასუხისმგებლობა მართებთ მთავრობაში ასარჩევთაც და გვმართებს ამრჩევთაც.

3. პურის პრობლემა სხვა პრობლემათა წყებას უკავშირდება. რესპუბლიკიდან პურის გატანა თუ ართულებს ვითარებას, ეგებ ამას სხვა გზით მოევლოს (სასურსათო ბარათების ან დავთრების შემოღებით) და არა — პურის გაძვირებით. ხოლო თუ გაძვირება აუცილებელია, მაშინ გასათვალისწინებელია, რომ პურის გაძვირებას ბაზრის გაძვირებაც მოჰყვება და შესაბამისად უნდა მოხერხდეს ხელფასის გაზრდაც. მხოლოდ გაძვირებული პურის საფასურის წამატება მოსახლეობას საგრძნობ შეღავათს ვერ მისცემს.

ბოლო წლების შემზარავმა მოვლენებმა ქართველი ადამიანის ღირსება შელახა. ბევრი რამ ულირსი ვიკადრეთ. არც მონად ქცევა ვითაკილეთ, არც ძმათა კვლა, არც ყაჩაღობა, მაგრამ მთლად განწირულნი მაინც არ ვყოფილვართ. ქართველი კაცის კეთილშობილება არც ისე იოლი ჩასაკლავი აღმოჩნდა. ჩვენი ერის აღორძინების საწინდრად მიმაჩნია უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი: როცა ჩვენი რჩეული ბიჭები იხოცებიან აფხაზეთში, როცა იღვრება სისხლი, აფხაზი ერისადმი სიძულვილი არ გაღვივებულა ქართველთა გულებში. ლტოლვილები აფხაზ მეზობლებს რომ უმადლიან გულისხმიერებას, ეს მთელმა საქართველომ ნახა. რაკი ეს ხდება, გადაშენება არ გვიწერია, აღორძინების ძალა გვქონია. ქართველს ესმის, რომ აფხაზი სეპარატისტები და არძინბა სხვაა და აფხაზი ხალხი — სხვა. აფხაზთა ჯანსაღი ნაწილი მიხვდება ვინ არის მათი მტერ-მოყვარე. მიხვდება, რომ გადამთიელი მათივე დამთრგუნველი ძალაა.

აფხაზეთის პრობლემა მაშინ ჩაისახა, როცა ლაკობა „სოციალიზმისთვის მხარდასაჭერად ლოზუნგივით დროებით მოგვეცით ავტონომია“, — სთხოვდა ქართველ ბოლშევიკებს. მას მერე, დროდადრო იმპერიის საჭიროებისამებრ მწვავდება ხელოვნურად ჩასახული აფხაზური პრობლემა. გამსახურდიას ხელისუფლებამ შეამზადა და დიდად შეუწყო ხელი დღევანდელ ვითარებას. კარგადაა ცნობილი, როგორ გაისარჯა ექსპრეზიდენტი, არძინბა რომ მოსულიყო სათავეში. დღეს აფხაზეთის პრობლემა ფართო პროცესის ერთი ნაწილია და მას რთული პოლიტიკური კონტექსტი აქვს.

ჩვენმა პარლამენტმა საინფორმაციო ბლოკადის გარღვევა უნდა მოახერხოს. მსოფლიომ უნდა შეიტყოს მეოცე საუკუნის დასასრულს რა ბარბაროსობა იქნა ჩადენილი გაგრაში. და მსჯავრიც უნდა გამოიტანოს. საზღვრების ხელშეუხებლობის საკითხში ურყევი შეთანხმებაა გლობალურ პოლიტიკურ სტრუქტურებში. ეს დიდი იმედის მომცემია. ამ პრინციპის დარღვევა ურთულეს მდგომარეობას შეუქმნის რუსეთსაც, რომელიც ლამის უმართავ ვითარებაშია. ხვალინდელი დღე რას მოუტანს რუსეთს, ესეც საკითხავია. კავკასიაში კონფლიქტის ახალი კერები ჩნდება, რაც ახალ სირთულეებს ქმნის ქვეყნის ამ რეგიონში. და ჩვენს პარლამენტსაც ახალი პოლიტიკური გზების მიგნება მოუწევს. ღვთისა და ჩვენი ერის სიბრძნის წყალობით საქართველოს პარლამენტს უძღვება მსოფლიოს წინაშე დიდად დამსახურებული ქართველი, რომელიც შესანიშნავად იცნობს იმპერიის კულუარებს, ქართველი, რომლის პოლიტიკურ პროგნოზებსაც წინასწარმეტყველური ძალა აღმოაჩნდა ბევრჯერ. მსოფლიოს მხარდაჭერასთან და თვით რუსეთის დემოკრატიულ ძალთა თანადგომასთან ერთად ჩვენი ბიჭების იმედითაც უნდა ვიყოთ, არმიაზე უნდა ვიზრუნოთ. მაგრამ პოლიტიკური გზები სრულად უნდა გამოვიყენოთ.

აფხაზეთის პრობლემა ერთიანი საქართველოს პრობლემაა. მჯერა, დადგება დღე, როცა საქართველოს პარლამენტში აფხაზი დეპუტატები ერთიანი საქართველოს ინტერესებისათვის იზრუნებენ. ეს იქნება აფხაზეთის კეთილდღეობისათვის ზრუნვაც.

**დავით კუპრეიშვილი** (სრულიად საქართველოს მ. კოსტავას საზოგადოება):

1. საქართველოს პარლამენტის პირველ სესიაზე მივდივარ გრძნობით, რომელსაც საზეიმოს ნამდვილად ვერ ვუწოდებ. არ არის დღეს საქართველოში საზეიმო განწყობილება, რა მიზეზიც უნდა არსებობდეს ადამიანთა თავშეყრისა, მით უმეტეს ამას ვერ ვიტყვი პარლამენტის სხდომაზე, რადგან ჩემთვის ეს არის ჩემი სამწლიანი პოლიტიკური ცხოვრების ახალი, მეტად დაძაბული ეტაპის დასაწყისი. ამ გრძნობას უფრო საქმიანს ვუწოდებდი, ასევე იმედებით აღსავსეს. თუმცა მაქვს სერიოზული შეშფოთების საფუძველიც, კერძოდ, დღეს საქართველოში იმდენი უმწვავესი პრობლემაა გადასაწყვეტი, რომ რესპუბლიკის მთავრობა ჩამოყალიბების დღიდანვე დიდი სიძნელეების წინაშე დადგება. სამწუხაროდ, უამრავი პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ და რეალობასთან მიახლოებულ პროგრამას დღეს ვერ ვხედავ. ისევე, როგორც წინა ხელისუფლების, ასევე დღევანდელი დროებითი მთავრობის არსებობის პირობებში ხელისუფლების წინაშე მდგარი პრობლემები წყდება სტიქიურად, წინასწარ დასახული გეგმის გარეშე. თუკი ასე გაგრძელდება მომავალშიც, ეს დამღუპველად იმოქმედებს საქართველოს პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

მაგრამ მაქვს დიდი იმედი იმისა, რომ ახალი ხელისუფლება არ გაიმეორებს წინა ხელისუფლების შეცდომებს, ამიტომაც ყველა სხვა გრძნობას მაინც იმედის გრძნობა სჭარბობს.

2. ვფიქრობ, რომ პარლამენტის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა აირჩიოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ანუ იმ ადამიანთა წრე, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემები, საქართველოს მოსახლეობას შეუქმნან ცხოვრების ელემენტარული, ადამიანური პირობები. ასეთ დროს, როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ, უნდა ვიჩქაროთ დინჯად.

ადამიანები, რომლებმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ საქართველოს განადგურებულ მეურნეობას, პირველ რიგში, უნდა იყვნენ დიდი პროფესიონალები. ამ სიტყვაში მე ძალიან დიდ შინაარსს ვდებ. პროფესიონალიზმში მე უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ მინდობილი დარგის პრობლემებში ღრმად წვდომის შესაძლებლობას, ერუდიციას, საკითხის გადასაჭრელად გადაწყვეტილების უსწრაფესად მიღებისა და მისი განხორციელების უნარს, ინიციატივიანობას, ესე იგი დარგის ხელმძღვანელს ტვინი არ უნდა ჰქონდეს გაყინული და ყოველი საკითხის გადასაჭრელად მთავრობაში არ უნდა დარბოდეს, თავად უნდა ეძებდეს და პოულობდეს კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის ოპტიმალურ გზებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინისტრთა კაბინეტი წარმომიდგენია, როგორც საბჭოთა ეკონომიკურ სტრუქტურებში გარკვეული, გამოცდილი მუშაკებისა და ენერგიული, საქმის მცოდნე, ინიციატივიანი ახალგაზრდების სიმბიოზი.

3. როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს ხელისუფლებას დღეს მოუწევს ურთულესი პრობლემების გადაჭრა, რომელთა შორის უპირველესია აფხაზეთის საკითხი და საქართველოს მოსახლეობისათვის ელემენტარული საარსებო პირობების შექმნა წლევანდელ ზამთარში.

აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტისას, რა თქმა უნდა, უარი არ უნდა ვთქვათ კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკურ გზებზე, მაგრამ დღეს კონფლიქტი იმ ფაზაშია, რომ საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს ენერგიული სამხედრო ღონისძიებების განხორციელება და დაკარგული პოზიციების დაბრუნება გაგრის ზონაში, ამისათვის კი პირველ რიგში, საჭიროა ქართული არმიის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

რაც შეეხება ეკონომიკურ სიძნელეებს, აქ მარტო პური არ გვიჭირს. თუკი ადამიანისათვის პურია არსებობის საშუალება, ეკონომიკის მაცოცხლებელი საშუალებაა სათბობ-ენერგეტიკული რესურსები.

ვფიქრობ, ვიდრე საქართველოს ეკონომიკა ოდნავ მაინც ფეხზე დადგება და ჩვენი პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება მსოფლიო ბაზარზე, უარი არ უნდა ვთქვათ რუსეთის, როგორც ყველაზე იაფი, გასაღების ბაზარზე და ნედლეულის წყაროზე. ეს საჭიროა რადგან კომუნისტური 70-წლიანი რეჟიმის პირობებში საქართველოს ეკონომიკა ისე მჭიდროდ იქნა ინტეგრირებული საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში, რომ ყველა კავშირის ერთბაშად გაწყვეტა გამოიწვევს სოციალურ აფეთქებებს თვით ჩვენს რესპუბლიკაში.

**გურამ მუჩაიძე** (სოციალ-დემოკრატიული პარტია):

1. სიტუაცია დღეს რესპუბლიკაში, მოგეხსენებათ, მეტისმეტად რთულია. ეს კი უდიდეს პასუხისმგებლობას ანიჭებს პარლამენტის თითოეულ წევრს. აი ეს გამორჩეული პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს ამ საქმიანობის დაწყებისას.

2. პროფესიონალიზმით.

3. ორივე ეს პრობლემა დაკავშირებულია საგარეო პოლიტიკის ასპექტებთან. ჩემი აზრით რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დაუმკვიდრებლად მოპოვებული დამოუკიდებლობა ხელიდან გამოგვეცლება. ამიტომ ვთავაზობთ ყველას და პარლამენტის პირველ სესიაზეც, ვფიქრობთ, დავაყენოთ საკითხი, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე შევქმნათ ევრაზიის სახლი, როგორც მასში შემავალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის გარანტი. მზად გვაქვს მიმართვის პროექტი „საქართველოს პარლამენტის მიმართვა ყოფილი სსრ კავშირის დამოუკიდებელი სახელმწიფოების პარლამენტებისადმი“, რომელსაც ჩვენს პარლამენტს წარვუდგენთ.

სხვათა შორის ერთი საკითხი მინდა დავაყენო: ჩვენი პარლამენტი მონონაციონალური გამოვიდა. ამიტომ, ჩემი აზრით, საჭიროა გამოვიყენოთ დამოუკიდებელი საქართველოს 1918-1921 წლების გამოცდილება და გამოვძებნოთ მექანიზმი, რომლის მეოხებით უზრუნველყოფილი იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა პარლამენტში. კერძოდ პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა სრული წარმომადგენლობის უზრუნველყოფისათვის მათ უფლება უნდა მივცეთ აირჩიონ თავიანთი წარმომადგენელი პარლამენტში. რისთვისაც დამატებით 26 მანდატი უნდა გამოიყოს.

და კიდევ ერთი: ახლადარჩეული პარლამენტი ამიერიდან პასუხისმგებელია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ქმედებებზე. იგი პასუხს არ აგებს არც სახელმწიფო საბჭოს და არც წინა პარლამენტის გადაწყვეტილებებზე. იქიდან გამომდინარე, რომ შინააშლილობას ზიანი მოაქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის, უპრიანი იქნება, ახალმა პარლამენტმა მიმართოს პრეზიდენტყოფილს და მის გარემოცვას. დაუბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარს, ოჯახებს, და მხარში ამოუდგნენ კანონიერ ხელისუფლებას ქვეყნისათვის ამ გაჭირვების ჟამს, ამასთან მათ მივცეთ ხელშეუხებლობის სრული გარანტია, თუ ეს კეთილი ნება უგულებელყოფილი იქნება და ისინი კვლავ გააგრძელებენ ანტიკონსტიტუციურ მოვლენებს, მაშინ მთელი სიმკაცრით უნდა ამოქმედდეს კანონი.

**ზურაბ ჟვანია** (მწვანეთა პარტია):

1. ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებით საზეიმო განწყობილება გვქონდეს, ვინაიდან პირველ ყოვლისა ჩვენ თვალწინ გვიდგას ურთულეს პრობლემათა მთელი წყება, რომელთა გადაწყვეტა პარლამენტმა უნდა დაიწყოს პირველივე დღიდან. ამდენად ყველანაირ ემოციას ჩრდილავს ყოველდღიური მუშაობა და ფიქრი იმ კონკრეტულ საკითხებზე, რის გატანასაც მწვანეები ვაპირებთ პარლამენტში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 4 ნოემბერს პარლამენტის პირველ სხდომაზე საქართველოს განვითარებაში თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება.

2. მთავრობის შერჩევისას ჩვენთვის, მწვანეებისთვის, მთავარი პრინციპი იქნება პროფესიული არაკორუმპირებული კადრების წამოწევა. წინასაარჩევნო კამპანიისას ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ საქართველოსთვის დღესდღეობით ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა კორუფციისა და მაფიური სტრუქტურის არნახული აყვავებაა.

ამ საკითხის მოგვარება სწორედ მთავრობის შემადგენლობისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით უნდა დაიწყოს.

პროგრამა მინიმუმი არის ის, რომ საქართველოს მთავრობაში არცერთი კორუმპირებული მინისტრი არ უნდა დარჩეს.

3. ჩემი აზრით აუცილებელია ამ უმძიმეს ეკონომიკურ ვითარებაში შემოღებულ იქნეს უპირველესი მოხმარების საქონლის ნორმირებული საბარათო განაწილება. პირველ ყოვლისა ეს შეეხება პურს, რძეს, მცირეწლოვანთა კვების პროდუქტებს. ამ თვალსაზრისით გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ უახლოეს დღეებში.

რაც შეეხება აფხაზეთს, ამ საკითხზე ძალიან დიდხანს შეიძლება საუბარი, მრავალი ფაქტორის გამოყოფა, მაგრამ ამჟამად მხოლოდ მთავარს, უძირითადესს გამოვყოფ: აფხაზეთში მშვიდობა საბოლოოდ მაშინ დამყარდება, როდესაც ჩვენ ბოლოს და ბოლოს მოვახერხებთ ერთიანი დისციპლინირებული ჯარის შექმნას.

როგორ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს მწვანეთა წარმომადგენლობისაგან ეს, სამხედრო საკითხზე უფრო მწვავე და სასწრაფოდ მოსაგვარებელ პრობლემას საქართველოში დღეს ჩვენ ვერ ვხედავთ.

ამაზეა დამოკიდებული თითოეული ჩვენი მოქალაქის მშვიდობა, მისი ღირსების დაცვა, ჩვენი ქვეყნის მთლიანობისა და თავისუფლების შენარჩუნება. მრავალჯერ გვითქვამს და კვლავ გავიმეორებთ, ამ მიმართულებით ყოველგვარი დაყოვნება დანაშაულია.

**იზა ორჯონიკიძე** (დამოუკიდებელი დეპუტატი):

1. არაერთმნიშვნელოვანი, იმ ნდობაზე დიდი ჯილდო არ არსებობს, რომელიც გაწამებულმა და დამშეულმა ხალხმა გამოგვიცხადა ყველას, ვინც აირჩია. მაგრამ ეს ნდობა მე, პირადად, ზღაპრის გმირის — ხელმწიფის მესამე ვაჟის არჩევანს მთავაზობს: იმ გზით ვერ ვივლი, რომლითაც შინ მაძღარი და სალსალამათი დავბრუნდები. მეც იმ გზას დავადგები, რომელიც ნაბოლარა ვაჟმა აირჩია. ის გზა ღირსებისა და თავდადების გზაა. თუ ვერ დავბრუნდი, „ნუ მიტირებთ დანანებით“. დღეს სხვანაირად ცხოვრება მარტო სამშობლოს ღალატი როდია — ღვთის ღალატიც არის! ასე რომ, ჩემი სასესიო განწყობილება მრავალი ნიუანსისგან შედგება და ყველა მათგანზე საუბარი ახლა უადგილოდაც კი მიმაჩნია. ეს სესია თავად არის განსაკუთრებული, უმნიშვნელოვანესი. ამიერიდან ცხადზე ცხადად გამოჩნდება, „ვის უფრო უყვარს, ძმებო, მამული“.... მაინც გამოვყოფდი ჩემს გაუნელებელ შიშს — ზოგიერთი გააზნაურებული მდაბიოს თავში ავარდნილ ამბიციებს კვლავ არ მოჰყვეს შინააშლილობა და წყალში არ ჩაგვეყაროს ყველაფერი. პირუმტკიცობა და ქართველთა დამღუპველი უნიადაგო, აგრესიული ინდივიდუალიზმი მომეტებულად მაშინებს. ერთი სიტყვით, საფიქრალიც ბევრია და საკეთებელიც. ილოცეთ ჩვენთვის.

2. ერთადერთი პრინციპით — ვინ როგორ შეიძლება გამოადგეს საქართველოს. ჩემი ღრმა რწმენით, დღევანდელ მინისტრთა კაბინეტს, მცირე გამონაკლისის გარდა, არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს გააგრძელოს სახელმწიფოს მართვა. კარგი იქნება, ზოგიერთი ხელმძღვანელი ავანსცენას დატოვებდეს — იმ სიტყვას შეასრულებდეს, რომელიც არაერთხელ მისცა ხალხს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თავად მსურს რომელიმე მათგანის შეცვლა! ხალხმა ყველაფერი იცის: ვის რა უნდა, ვინ რას რისთვის აკეთებს. ამიტომ ვიდრე ხალხის სახელით ლაპარაკს მოვყვებოდეთ, ამ ხალხს მოვუსმინოთ და პატივი ვცეთ მის აზრს ჩვენი საქმიანობის შესახებ. საქართველო უნიათო მთავრობას ვერ აიტანს. ხალხი მოუთმენლად ელის მთავრობის ახალი შემადგენლობის არჩევას. ეჭვი მეპარება, რომ ყველა არჩევანმა გაამართლოს, მაგრამ პარლამენტის ვალიც ის არის, რომ არ დაუშვას მაფიოზური ტენდენციების შემდგომი გაფურჩქვნა საქართველოში.

3. თუ არ გავისარჯეთ, თუ არ გავაცნობიერეთ ჩვენი ეგოისტური ნაბიჯების უგუნურება, თუ არ გავთავისუფლდით სათითაოდ ტოტალიტარული წიდისაგან, თუ ახლა მაინც არ დავუგდეთ ყური მერაბ მამარდაშვილს და ყველამ სათითაოდ არ მოვინანიეთ ცოდვა ურთიერთდაუნახაობისა, გაუცხოებისა, სიყვარულზე უარის თქმისა, მთელი ამერიკის ბიუჯეტი ჩვენ რომ გვიწყალობონ, ახალი საქართველო მაინც არ დაიბადება. იგი იქნება მაძღარი, მაგრამ არა ღირსეული. მოდით, დავიწყოთ სიყვარულით და მაშინ პურიც გვექნება და იმის სურვილიც, რომ ის პური ვილაცას გავუნაწილოთ.

**„საქართველოს რესპუბლიკის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური რედაქცია.**

---

### წერილი რედაქციას

**თამაზ გამყრელიძე**

## „დეპუტატი“ თუ „პარლამენტარი“

გაიმართა არჩევნები საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რომელსაც ვუწოდეთ საქართველოს „პარლამენტი“ და არა „უმაღლესი“ ან „უზენაესი საბჭო“, რითაც ერთგვარად გავემიჯნეთ სახელწოდებითაც ხელისუფლების ძველ, საბჭოურ სტრუქტურებს. მაგრამ ამასთან ერთად „პარლამენტის წევრის“ აღმნიშვნელ სახელად მაინც ძველი ტერმინი „დეპუტატი“ რჩება. ცნობილია, თუ რა ფსიქოლოგიურ-სემანტიკური დატვირთვის მატარებელია საგნის სახელი, საერთოდ მოვლენისა თუ საგნის დასახელება. სასურველია ამიტომ „დეპუტატი“ ტერმინი, რომელიც ქართულში რუსულიდან მომდინარეობს და თავდაპირველად ძველი, ამჟამად უკვე გაუქმებული „უმაღლესი საბჭოს“ წევრს აღნიშნავდა, „პარლამენტარი“ სახელით შევცვალოთ, რომელიც უშუალოდ „პარლამენტის წევრს“ ნიშნავს (შდრ. ამ მხრივ ფრანგული „პარლამენტარ“ ან იტალიური „პარლამენტარიო“ „პარლამენტის წევრის“ მნიშვნელობით).

თვით Депутат ტერმინი რუსულში ლათინური ენიდან მომდინარეობს გერმანულის გზით, სადაც ეს სიტყვა სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება და არ აღნიშნავს საკანონმდებლო ორგანოს წევრს. „დეპუტატი“ საკანონმდებლო ასამბლეის წევრის მნიშვნელობით, „პარლამენტარი“ ტერმინის გვერდით, მხოლოდ ფრანგულში გვხვდება „დეპუტე“ ფორმით, აგრეთვე იტალიურში: „დეპუტატო“. სხვა საპარლამენტო სისტემებში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრის აღსანიშნავად ამისგან განსხვავებული ტერმინებია გამოყენებული. ინგლისურ და ამერიკულ სისტემებში, მაგალითად, ესაა „პარლამენტის წევრი“, „სენატორი“, „კონგრესმენი“, ხოლო, „დეპუტატი“ ტერმინი (ინგლ. „დეპიუტი“) „მოადგილის“ მნიშვნელობით იხმარება: „დეპუტატი-მინისტრი“ მხოლოდ „მინისტრის მოადგილეს“ ნიშნავს.

ახალი ქართული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირებისას მიზანშეწონილია უარი ვთქვათ ძველ ტერმინოლოგიაზე, რომელიც გარკვეულ ასოციაციებს იწვევს, და შემოვიღოთ ახალი სახელწოდებები, კერძოდ „პარლამენტი“ და „პარლამენტარი“ // პარლამენტარები“ ნაცვლად „დეპუტატი // დეპუტატებისა“. ეს მით უფრო სასურველია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა უმრავლესობაში, სადაც შენარჩუნებულია „უმაღლესი საბჭოები,“ ამ „საბჭოების“ წევრები კვლავინდებურად სწორედ „დეპუტატებად“ იწოდებიან. თუ ჩვენ ვცვლით „უმაღლეს საბჭოს“ „პარლამენტით“, შესაბამისად უნდა შეიცვალოს „უმაღლესი საბჭოს წევრის“, ანუ „დეპუტატის“, სახელწოდება „პარლამენტის წევრის“ აღმნიშვნელი სახელწოდებით, ანუ „პარლამენტარი//პარლამენტარები“ ტერმინით.

---

**ნოდარ ნათაძე**

# ცხადია, არც დღეს ან არც ამ კვირაში...

## ისევ საქართველოდან რუსეთის ჯარის გასვლის საკითხზე

### ვინ როგორ ხედავს, ვინ როგორ აფასებს

ქართველ საზოგადოებრიობას აინტერესებს, რა მოტივი აქვს საქართველოდან რუსის ჯარის გასვლის მოთხოვნას, რომელსაც აყენებენ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, საქართველოს სახალხო ფრონტის ჩათვლით. მინდა მკითხველს განმარტება მივცე ამ მოთხოვნის თაობაზე.

I. **საქართველოში რუსეთის ჯარის ყოფნა საზარალოა საქართველოს ურთიერთობისათვის მეზობელ ქვეყნებთან.** თუ რუსეთის არმია, რომელიც საქართველოში დგას, მომზადებულია შეტევითი მოქმედებისათვის, მესამე ქვეყნის (ან ქვეყნების) წინააღმდეგ, ეს ნიშნავს, რომ ის მესამე ქვეყანა მომზადებული იქნება საპასუხო დარტყმისათვის ჩვენს წინააღმდეგ. თუ, პირიქით, იგი აპირებს რუსეთის ტერიტორიის მისადგომთა დაცვას ჩვენს ტერიტორიაზე, ეს ნიშნავს, ჩვენი მიწა-წყლის გადაქცევას ომის ასპარეზად. თუ, დასასრულ, რუსეთის ჯარი მხოლოდ დაზვერვას იწევა მესამე ქვეყნების მიმართ (მაგალითად, რადიოდაზვერვას), ესეც ჩვენი ტერიტორიის გამოყენებაა სამხედრო მიზნისათვის, რასაც სათანადო რეაქცია მოჰყვება ადრე თუ გვიან.

ამრიგად, უცხო ჯარის გაჩერება საკუთარ ტერიტორიაზე საქართველოსათვის მსხვერპლია რუსეთის სასარგებლოდ, რასაც ნებისმიერი ქვეყნების ურთიერთობაში სათანადო კომპენსაცია უნდა ახლდეს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ე. შევარდნაძის ტელედამოსვლაში ამ რამდენიმე დღის წინ რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნის გამართლებად მოყვანილი იყო ის გარემოება, რომ ჩვენ ვერ დავიცავთ ჩვენს საჰაერო სივრცეს რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ნაწილთა გარეშე. ეს საბუთი მართებულად არ მიგვაჩნია, რადგან არ ვიცით, რუსეთის ეს ნაწილები, მხოლოდ რუსეთისკენ აგრესიული მიზნით მომავალ თვითმფრინავებს ესვრიან ჩვენს ცაში, თუ რუსეთიდან ჩვენკენ მომავალ თვითმფრინავსაც (მაგ. დუდაევის ავიაციას) ამაში რომ დარწმუნებულნი ვერ ვიქნებით, ნათლად ჩანს ქვეითი და ჯავშანსატანკო რაზმების მაგალითით, რომელსაც რუსეთი არა მხოლოდ ატარებს თავისი ტერიტორიიდან საქართველოს წინააღმდეგ, არამედ გზავნის კიდეც ხმელეთითა და ზღვით. ანალოგიურად დგას სასაზღვრო ჯარების საკითხიც, რაც შეეხება ამ არგუმენტის გაგრძელებას — თუ რუსული ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ნაწილები ჩვენთან დგანან, სხვებიც უნდა იდგნენ მის დასაცავად. ვერც ამ დასაბუთებას ჩავთვლით მისაღებად, რადგან, საქართველოს ტერიტორიაზე მდგომ საჰაერო დაცვის ნაწილს ვერავის წინააღმდეგ დასჭირდება დაცვა საქართველოს გარდა. შესაძლოა, ამ საბუთებს სხვა, გამოუთქმელი საბუთიც ახლდეს — სანამ რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო ძალები პასუხისმგებელია ჩვენი საჰაერო სივრცის უსაფრთხოებისთვის, რუსეთი ჩვენკენ მომზადებულს არ გამოუშვებს. მაგრამ ეს მყიფე საყრდენია, ვერ გამოდგება. ბევრად უფრო მტკიცე გარანტია იქნება ზემოხსენებული ხიფათის ოფიციალური გაცნობიერება მსოფლიოსთვის და ჩვენს ტერიტორიაზე საერთაშორისო მეთვალყურეთა მუდმივი ყოფნა.

II. **დღეს საქართველოში დაბანაკებული რუსული ნაწილები აწარმოებენ საომარ მოქმედებას ჩვენს წინააღმდეგ,** რაც ყველაზე ნათლად აფხაზეთში გამოჩნდა, მაგრამ არანაკლები მასშტაბით ხდება ცხინვალის რეგიონშიც. სანამ ის ნაწილები საქართველოში დგანან, ჩვენ გადამწყვეტ სამხედრო გამარჯვებას ჩვენს წინააღმდეგ მოქმედ ანტისახელმწიფოებრივ ძალებზე ვერ მოვიპოვებთ. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მდგარი რუსული ჯარის ჩვენთან ურთიერთობის იურიდიული მხარე არც იძლევა საფუძველს, რომ, უფლებრივი თვალსაზრისით, განვასხვავოთ ამ ნაწილთა ყოფნა ე. წ. „ცხელ წერტილებში“, ერთი მხრივ, და საქართველოს დანარჩენ ადგილებში, — მეორე მხრივ. ამიტომ თანმიმდევრული მიდგომა ამ პრობლემისადმი გულისხმობს, რომ მოვითხოვოთ რუსეთის ჯარის გასვლა საქართველოდან საერთოდ.

ცხადია, რუსეთის ჯარის გასვლა არ ნიშნავს მის გასვლას დღეს ან ამ კვირაში. ეს მოთხოვნა ნიშნავს მხოლოდ მისი გასვლის ზუსტი გრაფიკის გამოცხადებას უახლოესი კვირების მანძილზე. ისიც ცხადია, რომ რუსის ჯარის გასვლა და მის ნაწილთა დროშების გატანა საქართველოდან, არ ნიშნავს მის ოფიცერთა ან მათ ოჯახთა გაძევებას ჩვენი ქვეყნიდან, რომელიც მადლიერებით მიიღებს მათს სამსახურს წყობილებაშიც და საინსტრუქტორო საქმიანობაშიც.

თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების მოვალეობად მიგვაჩნია, დაუყოვნებლივ მოსთხოვოს რუსეთს, საქართველოდან შეიარაღებული ძალების გაყვანა. ამის თქმა მინდოდა ტელემაყურებლებისთვის ამ რამდენიმე დღის წინ, მაგრამ ამის საშუალება არ მომეცა.

---

# ხალხი ასე აფასებს

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სოციალური მართვის ცენტრმა ტრადიციისამებრ მოგვაწოდა მ. წ. 21-24 ოქტომბერს ჩატარებული გამოკვლევის შედეგები სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების ხელმძღვანელთა რეიტინგის შესახებ.

გამოკითხული იყო 680 რესპონდენტი; გამოკვლევამ მოიცვა ქალაქ თბილისის საწარმოო სფეროს 24 ობიექტი, მომსახურების სფეროს 16, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის სფეროს 19, მმართველობითი ორგანოების 9 ობიექტი და 186 საცხოვრებელი ბინა.

**საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების პოპულარობის რეიტინგი (პროცენტი)**

| | | |
|---|---|---|
| 1. | თენგიზ კიტოვანი | 92,81 |
| 2. | ვალერიან ადვაძე | 92,06 |
| 3. | ალექსანდრე ჩიკვაიძე | 90,17 |
| 4. | ალექსანდრე კავსაძე | 87,25 |
| 5. | რომან გვენცაძე | 87,10 |
| 6. | კახი ასათიანი | 79,92 |
| 7. | ნოდარ ჭითანავა | 78,60 |
| 8. | ჯონი ხეცურიანი | 78,02 |
| 9. | გუჩა კვარაცხელია | 76,71 |
| 10. | არჩილ გოგელია | 69,37 |
| 11. | ირაკლი მეგრელაძე | 64,69 |
| 12. | რესან კონცელიძე | 62,78 |
| 13. | ომარ ვარძელაშვილი | 59,71 |
| 14. | ვაჟა ჯინჯიხაძე | 58,25 |
| 15. | ალექსანდრე ჩხეიძე | 57,96 |
| 16. | ირაკლი ჟორდანია | 57,22 |
| 17. | ბესიკ ჯუღელი | 49,60 |
| 18. | ნიკოლოზ შარაშენიძე | 49,18 |
| 19. | დავით მაღრაძე | 47,26 |
| 20. | გურამ მირიანაშვილი | 44,48 |
| 21. | ანზორ ჭელიძე | 42,00 |
| 22. | ვაჟა გუჯაბიძე | 38,34 |
| 23. | დავით ნაკანი | 38,19 |
| 24. | ვლადიმერ გუგუშვილი | 37,02 |
| 25. | თეიმურაზ დვალი | 36,58 |
| 26. | იოსებ ცისკარიშვილი | 35,99 |
| 27. | ლევან თოფურია | 33,95 |
| 28. | ოლეგ კეშელავა | 33,95 |
| 29. | ნოდარ კაკულია | 33,65 |
| 30. | გრიგოლ გოგავა | 30,86 |
| 31. | დავით გიგაური | 29,55 |

**საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების საქმიანობისადმი მოსახლეობის კეთილგანწყობილების რეიტინგი (პროცენტი) *.**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ალექსანდრე ჩიკვაიძე | 76,86 |
| 2. | ალექსანდრე კავსაძე | 57,39 |
| 3. | კახი ასათიანი | 53,58 |
| 4. | ვალერიან ადვაძე | 49,47 |
| 5. | რომან გვენცაძე | 46,41 |
| 6. | ნოდარ ჭითანავა | 44,50 |
| 7. | ჯონი ხეცურიანი | 39,82 |
| 8. | გუჩა კვარაცხელია | 37,48 |
| 9. | არჩილ გოგელია | 36,45 |
| 10. | თენგიზ კიტოვანი | 32,79 |
| 11. | ირაკლი მეგრელაძე | 31,18 |
| 12. | ვაჟა ჯინჯიხაძე | 27,52 |
| 13. | ალექსანდრე ჩხეიძე | 27,37 |
| 14. | ირაკლი ჟორდანია | 26,78 |
| 15. | რესან კონცელიძე | 25,61 |
| 16. | ომარ ვარძელაშვილი | 24,73 |
| 17. | დავით მაღრაძე | 22,68 |
| 18. | ბესიკ ჯუღელი | 22,68 |
| 19. | გურამ მირიანაშვილი | 19,02 |
| 20. | ნიკოლოზ შარაშენიძე | 17,71 |
| 21. | დავით ნაკანი | 16,39 |
| 22. | ვაჟა გუჯაბიძე | 15,36 |
| 23. | ნოდარ კაკულია | 15,07 |
| 24. | თეიმურაზ დვალი | 12,29 |
| 25. | იოსებ ცისკარიშვილი | 12,29 |
| 26. | ანზორ ჭელიძე | 11,56 |
| 27. | გრიგოლ გოგავა | 10,53 |
| 28. | დავით გიგაური | 10,39 |
| 29. | ვლადიმერ გუგუშვილი | 10,09 |
| 30. | ლევან თოფურია | 9,35 |
| 31. | ოლეგ კეშელავა | 7,90 |

*განმარტება: კეთილგანწყობილების რეიტინგი (პროცენტობით) წარმოადგენს რესპონდენტთა მიერ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობის „სრულიად დადებითად“ და „ძირითადად დადებითად“ შეფასებების პროცენტული გამოხატულების ჯამს.

**საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების საქმიანობისადმი მოსახლეობის კეთილგანწყობილების რეიტინგი (ბალი).**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ალექსანდრე ჩიკვაიძე | 82,04 |
| 2. | კახი ასათიანი | 68,90 |
| 3. | ალექსანდრე კავსაძე | 68,66 |
| 4. | ნოდარ ჭითანავა | 62,20 |
| 5. | ვალერიან ადვაძე | 60,92 |
| 6. | რომან გვენცაძე | 60,48 |
| 7. | არჩილ გოგელია | 60,06 |
| 8. | ჯონი ხეცურიანი | 59,72 |
| 9. | ირაკლი მეგრელაძე | 58,04 |
| 10. | გუჩა კვარაცხელია | 57,82 |
| 11. | ირაკლი ჟორდანია | 56,54 |
| 12. | ალექსანდრე ჩხეიძე | 56,00 |
| 13. | ვაჟა ჯინჯიხაძე | 55,61 |
| 14. | ბესიკ ჯუღელი | 55,40 |
| 15. | დავით მაღრაძე | 55,04 |
| 16. | რესან კონცელიძე | 54,92 |
| 17. | ომარ ვარძელაშვილი | 54,40 |
| 18. | გურამ მირიანაშვილი | 54,30 |
| 19. | დავით ნაკანი | 53,93 |
| 20. | ვაჟა გუჯაბიძე | 53,49 |
| 21. | ნოდარ კაკულია | 53,41 |
| 22. | ნიკოლოზ შარაშენიძე | 52,89 |
| 23. | თეიმურაზ დვალი | 52,39 |
| 24. | იოსებ ცისკარიშვილი | 52,25 |
| 25. | დავით გიგაური | 52,02 |
| 26. | გრიგოლ გოგავა | 51,59 |
| 27. | ლევან თოფურია | 51,19 |
| 28. | ანზორ ჭელიძე | 50,33 |
| 29. | ვლადიმერ გუგუშვილი | 50,21 |
| 30. | ოლეგ კეშელავა | 48,74 |
| 31. | თენგიზ კიტოვანი | 47,42 |

**განმარტება:** კითხვარის მიხედვით მოღვაწეთა საქმიანობა ფასდება: „სრულიად დადებითად“, „ძირითადად დადებითად“, „არც დადებითად, არც უარყოფითად“; „ძირითადად უარყოფითად“, „სრულიად უარყოფითად“, ყველა მათგანს შესაბამისად ენიჭება ბალები: 100; 75; 50; 25; 1. რესპონდენტთა მიერ გაცემული პასუხების რაოდენობის მიხედვით გამოითვლება საშუალო ბალი.

---

# ოლქი შეშფოთებულია

**საქართველოს** ტერიტორიაზე დისლოცირებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შენაერთებისა და ნაწილების გარშემო ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით, სამშაბათს, ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის თანაშემწემ პოლკოვნიკმა ვასილ ბელჩენკომ.

ოლქის სარდლობის წარმომადგენელმა გამოთქვა აღშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ხელთ იგდეს ახალციხის საწყობი, დაარბიეს თბილისის სამხედრო-საჰაერო ძალების ნივთიერი ქონების საწყობი და თავს დაესხნენ ერთ-ერთი ნაწილის მეთაურს, რის შედეგად, იგი ცეცხლსასროლი იარაღით დაიჭრა. პოლკოვნიკმა ბელჩენკომ განაცხადა, რომ ოლქის სამხედრო საბჭო იზიარებს ბატონ ედუარდ შევარდნაძის შეფასებას უკანასკნელ მოვლენათა გამო. ოლქი დაჟინებით მოითხოვს დაუყოვნებლივ დაუბრუნონ გატაცებული სამხედრო ქონება და ამიერიდან აღიკვეთოს ამგვარი აქტები, თორემ, და ეს აღნიშნულია სამხედრო საბჭოს განცხადებაში, ოლქი იტოვებს უფლებას, მიმართოს ადეკვატურ საპასუხო ზომებს. ამავე დროს, პოლკოვნიკმა ბელჩენკომ გამოთქვა იმედი, რომ კონსტრუქციული იქნება სამხედროთა თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისე მომავალში.

**სურათზე:** პრესკონფერენციის დროს.

**მიხეილ ვიგნანსკის** ტექსტი და ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# თავგანწირვით, გამარჯვებამდე!

## (უსათაურო ჩანაწერები)

**სანდრო მამასახლისი**

ალბათ ძნელია მოიძებნოს თუნდაც ერთი, ჩვეულებრივი სოფლური საცხოვრებელი სახლი, რომელმაც ჟამთასვლას გაუძლო და დღევანდელობას შემორჩა...

სამაგიეროდ გვაბადია რვა ათასამდე უნიკალური ძეგლი — ეკლესია, საყდარი, ტაძარი, ციხესიმაგრე და სხვა სახალხო დანიშნულების ნაგებობა, რომელთა ბადალი დუნიაზე, ძნელად თუ მოიძებნება. მიზეზი ერთია —ქართველობა უპირველესად საქვეყნო საქმეებზე ზრუნავდა, ხოლო მერე — საკუთარ, პირად კეთილდღეობაზე...

დღეს ბავშვებს თავზე ახლადაშენებული სკოლის ჭერი ენგრევათ, ხოლო ზოგიერთი მექრთამემტაცებლის საცხოვრებელი სახლი მშენებლობის ხარისხითა და ზომით ტაძარი გეგონება...

დღეს ზოგიერთი ჩვენგანის ბინა, სიკოხტავითა და კომფორტით პარიზულ ბუდუარს წააგავს, ხოლო ჩვენსავე სადარბაზოს ნაგვისა და შარდის სიმყრალე ასდის...

უსიცოცხლოა ეროვნული თვითშეგნება, თუ იგი მოვალეობის აღსრულების სურვილით არ იტვირთება, რეალური საქმით არ დასტურდება. მეტიც, ქვეყნის განყენებული, ზოგადი სიყვარული გარკვეულ ვითარებაში შეიძლება სახიფათოც იყოს — ხომ არიან ოჯახები, რომლებიც ჯანღონით სავსე შვილის ჯარიდან „დახსნის" აღსანიშნავად სუფრებს შლიან და დიდი გულწრფელობით, ფეხზე ამდგარნი საქართველოს სადღეგრძელოს მიირთმევენ...

განა ნორმალურია მშობელმა თავისი ნებით შვილს ყველაზე სამარცხვინო საქმე — ლაჩრობა ასწავლოს, თავისი ნაშიერი სამშობლოს მოღალატეთა შავ სიაში თავისივე ხელით ჩაწეროს...

ვინ არის ის, რომელიც დღეს შვილს თავის კალთას გადააფარებს, კაცურ ღირსებას აარიდებს? რა თქმა უნდა, გონებაგადაბრუნებულ-დაკოდილი ადამიანი...

დღეს კაცობის, ნამუსიანობის, ვაჟკაცობის დროა, დღეს ვლინდება ყოველი ჩვენგანის ნამდვილი არსი, დღეს ყველა ცოდვილს ეძლევა შესაძლებლობა წმინდანად იქცეს, დღეს ხელახლა ეყრება ფუძე, ოდესღაც მტარვალის მიერ დანგრეულ ჩვენს ეროვნულ ტაძარს — ჩვენს თავისუფლებას, დღეს ვინც გაგრაზე, განთიადსა და ლესელიძეზე არ ფიქრობს, ჰკარგავს საქართველოს შვილის წოდებას!

* * *

რიგი ადამიანის ღირსებას საჯაროდ ლახავს, იპარავს მის დროს და აუბრალოებს სიცოცხლეს.

რიგში გუბდება და ღვივის ბოღმა, მან დანდობა არ იცის — შეუძლია სასიკვდილოდ გაგწიროს...

რიგი ის მძიმე ხარკია, რომელსაც უნიათობის, სიზარმაცისა და უპასუხისმგებლობის გამო ვიხდით.

რაც უფრო გრძელია რიგი, მით სუსტია საზოგადოებაში მოქალაქეობრივი თვითშეგნება.

რიგი ერთდროულად ხალხისა და ხელისუფლების მარცხია.

რიგის დაუძინებელი მტერი საყოველთაო შრომა და ქვეყნის მართვის მაღალი კულტურაა.

ცხოვრებაში ერთმა რიგმა გამახარა, ეს იყო წლეულს, 11 ოქტომბერს, არჩევნებზე...

* * *

სამხედრო კომისარიატში ყურმოკრული დიალოგი:

— წაიყვანეს...
— გინდა დაიხსნა?
— არა...
— მაშ, რისთვის მოხვედი?
— რომ დამეღუპოს?
— რატომ გაუშვი?
— თვითონ წავიდა, ვერ გავაჩერე...
— ეგ ერთი გყავს?
— ერთია...
— მერე?
— რა მერე
— არაფერი...

* * *

„... ასე ბრმად სროლა ვის გაუგია? მიზანს თუ ვერ ხედავ, სასხლეტს თითს ნუ აჭერ, ტყვია-წამალს გაფრთხილება უნდა... თავზე საყრელიც რომ გვქონდეს, უმიზნოდ მაინც არ უნდა ისროლო, შენი ბათქა-ბუთქით მტერი აღმოგაჩენს...

და კიდევ. სად არის შენი სასანგრე ბარი? მოვიარე ფრონტი და თითქმის ვერსად ვერ ვნახე ბარით შეიარაღებული მებრძოლი.

ავტომატი და სასანგრე ბარი— აი, თანამედროვე ბრძოლის ყველაზე საჭირო ორი იარაღი. თუ ბრძოლა შეწყდა, ბარს უნდა სტაცო ხელი და სანგარი — შენი ციხესიმაგრე აიშენო... ენდე მიწას, იგი შეგინახავს, გადაგარჩენს!

მეომარს მიზანში სროლით გავარჯიშებული თვალი და სანგრის თხრით დაკოჟრილი ხელი უნდა ჰქონდეს...

თავს გაუფრთხილდი ბიჭო, ომები წინა გვაქვს..."

* * *

საბრალოა ის ახალგაზრდა, რომელიც ტელეეკრანზე აფხაზეთში გმირულად დაღუპული თანატოლის ფოტოს ნახავს და ამის შემდეგ მშობლებს შეევედრება — ჯარიდან დამიხსენითო...

დაცემა შიშით იწყება...

* * *

ძმებო, კოლეგებო, რა გემართებათ, საიდუმლო ინფორმაციას მტერს რატომ აწვდით?! ჩართავ ტელევიზორს, აიღებ გაზეთს და ჩვენს შეიარაღებულ ძალებზე ყველაფერს გაიგებ, — რამდენი, სად გაიგზავნა, რამდენია სპეცდანიშნულების ნაწილში, სადაა მათი დისლოკაციის ადგილი, როდის აპირებენ წინა ხაზზე გასვლას, გვიჩვენებენ ტექნიკას, აღჭურვილობას... ან თუ ყაჩაღობა, ან მკვლელობა მოხდა, რატომ ვაიმედებთ პოტენციურ დამნაშავეს — ნუ შედრკები, ავაზაკობა მაინც გაუხსნელი რჩებაო...

დოყლაპიობა (მინდა მხოლოდ ამით ავხსნა ეს უპასუხისმგებლობა) სიცოცხლის ფასად გვიჯდება!

* * *

გერმანელმა, უნგრელმა, ჩეხმა, სლოვაკმა, ბულგარელმა, რუმინელმა, ფრანგმა, ავღანელმა, პოლონელმა, ამერიკელმა, რუსმაც კი დაუჭირეს ქართველ ედუარდ შევარდნაძეს. ახლა ჩვენი ჯერია. თუ სხვანაირად მოვიქცევით, მსოფლიოს გავაოცებთ...

ცხარე დისპუტებისა და კინკლაობის დრო არ არის, ქვეყანა ომის ხანძარშია...

ახლადარჩეული პარლამენტის სიბრძნე უემოციო, დინჯი ფიქრია და იმ მამაცი კაცის მოსმენაა, რომელმაც ამ განსაცდელის ჟამს უმძიმესი ტვირთი იტვირთა...

სანამ სიტყვას ვიტყოდეთ, დავფიქრდეთ — ღირს კია ხმის ამოღება?

დიდაჩემი მეტყვის ხოლმე — რასაც ხედავ, ყველაფერი კი არ უნდა დაინახოო... ჩვენც უცებ ნუ ავწიწმატდებით, ფიქრს გალაღების საშუალება მივცეთ. ანჩხლი და ჭიუტი ჭეშმარიტებას გაურბის და თავისი ხმაურიანი გულწრფელობა სიმართლე ჰგონია...

სარდალს მისი ერთგული თანამზრახველები ქმნიან, გამარჯვებისკენ გზას უკაფავენ...

განსაცდელის ჟამს მხედართმთავარს ერთგული აღმსრულებელი ალბათ უფრო სჭირდება, ვიდრე ენაწყლიანი მოსაუბრე...

* * *

„...ავაზა", „თეთრი არწივი", „შევარდენი", „ორბი", ...ლამაზი, ამაყი სახელწოდებებია, ახარებს გულს, სულს.. და მტერსაც. ორგანიზაციულობის თვალსაზრისით რაც უფრო მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი იქნება ჩვენი სამხედრო ძალა, მით მეტად შენელდება რეაგირების დრო, დაგვაკლდება სიმარდე და სისწრაფე, კონცენტრირებული დარტყმის უნარი, მით მეტად გაგვითავხედდება მტერი... განა თვალწინ არა გვაქვს? ვიგვიანებთ კიდეც და ტილიანი მომხდური ჩვენს მიწაზე ბაღდადურს ცეკვავს...

მოდით, ეს რაინდულ-რომანტიკული სახელწოდებები სპორტულ გუნდებს გადავულოცოთ და ჩვენს არმიას „საქართველოს შეიარაღებული ძალები" ვუწოდოთ, ერთ მუშტად შევკრათ და მართლაც, ისეთ ძალად ვაქციოთ, რომ მტერმა საქართველოს დალაშქვრაზე, აწ და მარადის ფიქრიც კი ვეღარ გაბედოს...

* * *

პოლიტიკოსმა, რომელმაც იცის თანამედროვე სამხედრო ტექნიკის საზარელი შესაძლებლობა, ყველაფერი უნდა იღონოს, რომ ომი არ დაუშვას... აფხაზ მოღალატეთა დაქირავებულ მკვლელთა ქართულ მიწაზე დღევანდელი ცინიკური პარპაში, ნუ გვეწყინება და ჩვენი დოყლაპიობის შედეგიცაა...

რამდენი პოლიტიკური პარტიაა საქართველოში და თუ გსმენიათ, მათ მხრიდან ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკურ ორგანიზაციებთან კონტაქტის დამყარების ცდების შესახებ? ერთხელ მაინც თუ ახულან რომელიმე პარტიის „გულმხურვალე" ლიდერები სოსლან ბეგოვთან, დუდაევთან, შანიბოვთან და სხვებთან, თუ უსაუბრიათ, აუხსნიათ საქმის ნამდვილი ვითარება, თუ დაუმყარებიათ მათთან ურთიერთობა... მართალია, მეზობლებს ერთმანეთისაგან სარწმუნოება განგვასხვავებს, სამაგიეროდ მრავალსაუკუნოვანი ეთიკა გვაქვს საერთო და ჩვენი გულების ძგერა ერთმანეთისათვის არც თუ ისე უცხოა...

...მთიელ ხალხთა კონფედერაცია სოხუმს თავის დედაქალაქად რომ აცხადებდა, ამ დროს დარბაზში რატომ არ იყვნენ ჩვენი „ნიადაგ თავდადებული" პარტიების წარმომადგენლები, ან თუ იყვნენ, რატომ სდუმდნენ? საქართველოს არ ეხებოდა ეს, თუ რა? ან რატომ მოახერხეს არძინბას ბანდის წევრებმა კავკასიის ზოგიერთ ხალხთა ცნობიერებაში საწყალი აფხაზებისა და ვერაგი ქართველების მყარი სტერეოტიპის შექმნა? ამას ხომ დრო და რუდუნება სჭირდებოდა...

მწარე გაკვეთილის მიუხედავად შიდა ქართლში დღესაც არავითარი პარტიული მუშაობა არ მიმდინარეობს, არ მყარდება კონტაქტები, არ წარმოებს მხარეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მათი დაზუსტება, თუნდაც ერთმანეთის უკეთ გაცნობის მიზნით...

დალოცვილი ამერიკელი პოლიტიკოსი ჩამოდის, ვთქვათ თელავში და კახეთის ზონის სახალხო ფრონტის შეკრებას ესწრება — ჩემი აქ ყოფნა აუცილებელია, ვინაიდან ეს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებშიაო...

...საქართველოში ყველა პარტიების წევრთა რაოდენობა დავაჯამე. იმდენად შთამბეჭდავი ციფრი გამოვიდა, რომ ყოველ მეხუთეს ბევრი ლაპარაკის მაგივრად, ცოტა მაინც ნამდვილი პოლიტიკა რომ სცოდნოდა —არძინბა და მისი დამქაშები ამდენს ნამდვილად ვერ გაგვიბედავდნენ, და ვინ მოთვლის, რამდენი კარგი ბიჭის სიცოცხლე შერჩებოდა ამ ქვეყანას...

* * *

ზათქითა და გრიალით მიაპობს ჩვენი თვითმფრინავი ღამეული ცის კაბადონს... სალონში მბჟუტავი სინათლეა. გვარდიელები სოხუმს მდუმარედ მოელიან...

ჩემს უკან მჯდომს მკერდზე ოთხი პატარა ფოტოსურათი აქვს მიბნეული.

— სამი ძმა და ბიძაშვილი დაღუპა... — მითხრა ვიღაცამ.

ვინაობა არ ვკითხე. რატომ? არ ვიცი. კიდევ კარგი ფოტოაპარატი თანა მქონდა...

* * *

რამდენი ერი გაჰყვა დროს და ისტორიას, ქართველებმა კი თავი შეინახეს, დღემდე მოიტანეს საკუთარი ენა, კულტურა, ადათწესები, სული თვისი... ამ გამძლეობას ზოგი მრავალხმიანი სიმღერით ხსნის, ზოგი — სხვა ხალხების მიმართ მოთმინების უნარით, ზოგიც — სარწმუნოებისადმი ერთგულებით...

არ ყოფილა მძაფრი კონფლიქტი, რომლის მხილველი არ ვყოფილიყავი, (ფოტო რომ გადაიღო, გადასაღებ ობიექტს პირისპირ აუცილებლად უნდა შეხვდე) და ამდენად, მაქვს ალბათ უფლება საზოგადოებას ჩემი მოსაზრებაც გავუზიარო — საქართველო ქართველმა კაცმა გადაარჩინა...

..მის სიმამაცეს საზღვარი არა აქვს, მისი შემართება და სიმტკიცე აბსოლუტურია... იგი შეიძლება ოდნავ ზანტი, გულდინჯი, შეიძლება აღნაგობითაც ჩია მოგეჩვენოთ, მაგრამ დახეთ რა ემართება, როცა მტერზე მიდის... სტიქიას, გრიგალს უფრო წააგავს, ვიდრე ადამიანს, არც ტყვიას ეპუება და არც სიკვდილს... მისი თავგანწირვა უკიდეგანოა — მტერი ან უნდა დანებდეს, ან განადგურდეს! ქართველთან მას სხვა არჩევანი არა რჩება!

* * *

მაგონდება ტურგენევის მინიატურა — პატარა ბეღურამ თავისი თავგანწირული შეტევის შედეგად როგორ სძლია ვეება ძაღლს და ამით ბარტყები გადაარჩინა... ძაღლისათვის ბეღურა არაფერია, ლუკმადაც არ ეყოფოდა, მაგრამ პატარა არსებამ ისეთი თავდადება, რისხვა და სიშმაგე გამოავლინა, რომ თავდამსხმელი შიშმა აიტანა და კუდამოძუებული გააქცია...

საქართველოს ბეღურას ვერ შევადარებ — ქვეყანა ზომით არც თუ მცირეა და ჩვენც, მისი მოქალაქენი ცოტანი როდი ვართ. დღევანდელი მტერიც ძაღლს არ წააგავს, იგი უსაშველოდ უფრო დიდია, სამაგიეროდ ტლუ და მშიშარაა. მინიატურიდან მხოლოდ ბეღურას თავგანწირვა, თავდადება, გამარჯვების გარდაუვალობის უსაზღვრო რწმენა მენიშნა.

...სოხუმიდან ჩამოსულს, ასე მეგონა თბილისმა სულაც არ იცის, რა ხდება აფხაზეთში — ტელევიზორი კანარის კუნძულებზე მოგზაურობას მთავაზობს, გაზეთებში პრივატიზაციის შესახებ წერენ, რესტორნებში ლხინია, ქუჩაში ბიჭები კვლავინდებურად „ბირჟაზე" გროვდებიან, მეზობელი ლოჯიას იშენებს, ბენზინის გადამყიდველი, ტონტორა ბიჭი, საღამოობით ოჯახის წევრებთან ერთად კმაყოფილი, ათასებს ითვლის, სტუდენტები ქუჩაში დასეირნობენ...

ყველას, — პატიოსანს, ნამუსგარეცხილს, გმირს, ზარმაცს, მშიშარას, მამაცს, ყაჩაღსა და უანგაროს, რომელიც დღეს ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობს, ჰგონია — ომის ცეცხლი პირადად მას არ მისწვდება...

აფხაზეთში ჩვენი დამარცხება საქართველოს ნგრევას გამოიწვევს — წაქცეულებს ვინღა დაგვინდობს?! გაგრის გენოციდი მონაგონი იქნება...

...როცა მტარვალი ხორცს გვიგლეჯს, ჩვენს სისხლს პეშვით სრუტავს, დანაშაულია ფრონტის გარდა, სხვაზე ფიქრი...

ბარბაროსს მის ენაზე უნდა ველაპარაკოთ, სხვა — მას არ გაეგება.

ომია და ყველამ უნდა ვიომოთ, ვიომოთ თავგანწირვით, გამარჯვებამდე...

* * *

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება თავდაცვის ფონდში.

## ეს ჩვენი საქართველოა!

**ამ ტრიალ ქვეყანაზე**

### უნდობლობის ვოტუმი

**იუგოსლავიის** პარლამენტის მოქალაქეთა პალატამ ორშაბათს გამოუცხადა უნდობლობა იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის მთავრობას პრემიერ მილან პანიჩის მეთაურობით. კაბინეტის გადადგომას კენჭისყრის მონაწილე 117 დეპუტატიდან ხმა მისცა 93 დეპუტატმა. ახლა პარლამენტის ზემო პალატის გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს რესპუბლიკათა პალატამ, სადაც პანიჩის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა რიცხვი დაახლოებით თანაბარია.

### არჩევნები დაიწყო

**გუშინ** შეერთებულ შტატებში დაიწყო საყოველთაო არჩევნები. ირჩევენ ქვეყნის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს, სენატორთა შემადგენლობის მესამედსა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ყველა წევრს, 12 გუბერნატორს. განახლდება უმრავლესი შტატების საკანონმდებლო კრებათა შემადგენლობები. ამომრჩეველთა გამოკითხვის მონაცემებით, 1976 წლის შემდეგ პირველად თეთრი სახლის პრეტენდენტი დემოკრატიული პარტიისაგან პოპულარობის დონით უსწრებდა არჩევნების წინ, რესპუბლიკელთა წარმომადგენელს. გელაპის სამსახურის ახალი გამოკვლევის თანახმად, ამერიკელთა 44 პროცენტი აპირებს არჩევნებში ხმა მისცეს ბ. კლინტონს, 36 პროცენტი — ჯ. ბუშს, 14 პროცენტი — რ. პეროს.

### თითო აბზაცით

● **კიევში** მიმდინარეობს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში ავარიის შედეგების ლიკვიდაციის სამედიცინო და ჰუმანიტარული პროგრამების კოორდინაციის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო თათბირი.

● **ოქტომბერში** ისრაელში ჩავიდა 7.542 ახალი იმიგრანტი, მათ შორის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან — 6.882 კაცი, ძირითადად, შუა აზიის რესპუბლიკებიდან.

● **ყაზახეთის** პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი და თურქეთის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი შეთანხმდნენ ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ, რომელიც ირანისა და თურქეთის ტერიტორიით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მიაღწევს.

● **პალესტინის** განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ იასირ არაფატმა მიმართა თხოვნით ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ხავიერ სოლანეს უშუამავლოს ისრაელის პრემიერ-მინისტრ იცხაკ რაბინისა და მისი შეხვედრის მოწყობაში.

**ამ ტრიალ ქვეყანაზე**

---

**ინტერვიუ**

# ეს დადასტურების არჩევნები იყო

**ზაირა ჩომახაშვილი.**

**ბატონ ჯანრი კაშიას კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება. თბილისში არჩევნების წინადღეს დაბრუნდა. ეს ინტერვიუ ერთგვარი ფიქრებია არჩევნებზე არჩევნების შემდეგ.**

— არჩევნები მხოლოდ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება შეფასდეს: ეს არის პირველი ნამდვილი არჩევნები, რადგანაც იგი გაიმართა უკვე დამოუკიდებელ ქვეყანაში, რომელიც ცნო მთელმა მსოფლიომ და რომელიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი.

ამიტომ არჩევნების, ვიტყოდი, წარმატებული მოწყობა უდიდესი მოვლენაა. დღევანდელი დღიდან, პარლამენტის პირველი სესიიდან კი იწყება ის ეტაპი, რომელსაც ჰქვია დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული თუ რესპუბლიკური საქართველოს მშენებლობის დასაწყისი.

**— ხალხმა მოახდინა არჩევანი და ეს არჩევანი იყო ერთსულოვანი. მაგრამ ასევე იყო წინა არჩევნებშიც. როგორ ახსნით ამას? და კიდევ: ერთსულოვნება შეიძლება თუ არა იყოს ცუდი?**

— ბოლოდან დავიწყებ. ერთსულოვნება შეიძლება იყოს ცუდი, თუ ის მიმართულია ბოროტებისაკენ, ან თუ გზას აძლევს მას. ამის მაგალითები გვაქვს.

სხვათაშორის ერთსულოვანი იყო არა მხოლოდ ამჟამინდელი ან ამის წინანდელი არჩევნები, არამედ — კომუნისტურიც. მაგრამ, როგორც საბოლოოდ გამოირკვა, მთელი ეს მექანიზმი მიმართული იყო ნულოვანი ჰორიზონტისაკენ, ანუ ვითარდებოდა უარყოფით, რეგრესიულ სისტემაში, სადაც ყველაფერი მიისწრაფოდა ნულისაკენ. შედეგად კი მივიღეთ ნულოვანი სინამდვილე, რომელიც საყოველთაოდ არის აღიარებული, როგორც უარყოფითი სინამდვილე.

რაც შეეხება ერთსულოვნებას არჩევნებში, ამისწინანდელ არჩევნებში ამომრჩეველს ჰქონდა ალტერნატივა კომუნისტურ-რეგრესიულ რეჟიმსა და ეროვნულ ორიენტაციას შორის. ტოტალიტარიზმიდან გამოსვლის რეალური ალტერნატივა არის ეროვნული თვითშეგნება და თვითგამოხატვა.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ის, რაც ჩვენთან მოხდა (ამას მე ნაციონალურ ტოტალიტარიზმს ვუწოდებ), იყო ერთგვარი იმპულსი, განწყობა იმისა, რომ რაიმე დაწყებულიყო, მაგრამ არაფერი დაწყებულა, რადგანაც ყველაფერი ყალბ საფუძველზე იყო აგებული. მაშინ ეს არავინ გააანალიზა. ცნობილია, რომ მასები საერთოდ ვერ აანალიზებენ, მასები მხოლოდ იმპულსს გამოხატავენ. ამ შემთხვევაშიც გამოხატული იყო ეს იმპულსი დაუფიქრებლად. არავინ გააანალიზა, რომ ნაციონალური ალტერნატივა ცნობიერების იმავე სტრუქტურებში გამოიხატა, რომლებშიც ადრე გამოხატული იყო რეგრესიულ-ტოტალიტარული სინამდვილე. ამის გამო კვლავ ტოტალიტარულ რეჟიმში ამოვჩნდით, ოღონდ ეროვნული ნიშნით, რაც უფრო საშიში და დამანგრეველი გახდა ცნობიერებისათვის.

ქართული ნაციონალური თუ ლიბერალური თეორია თუ კონცეფცია საკმაოდ მომწიფებული იყო თავისი დროისათვის. XX საუკუნის დასაწყისში, თუ გნებავთ, ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული, ეს თეორია მუშავდებოდა და ჩვენ ვიყავით მთელი მსოფლიოს დონეზე: რეალურად არ გვქონდა ეს ყველაფერი, მაგრამ, კონცეფცია იყო! აი, ამ ყველაფრის აღდგენის ნაცვლად უცბად ჩავეფალით ტოტალიტარულ რეჟიმში, რომელსაც ეროვნული ფორმა მიეცა.

**— ბატონო ჯანრი, თქვენ ბრძანეთ, რომ მასებს ანალიზის უნარი არ შესწევთ, მათ ალბათ არც არჩევის უნარი აქვთ?**

— ერთი განსხვავებით, ამჟამინდელ არჩევნებს არ უძღოდა წინ დემონსტრაციები. მასობრივი თავყრილობა ბადებს მასობრივ ცნობიერებას. რა არის მიტინგი? მიტინგზე წინ მდგომი კაცის სიტყვები არ გესმის, მხოლოდ მის კეფას უყურებ და უკან მდგომის ქშინვა გესმის. ამ მდგომარეობაში განძრევის საშუალება აღარა გაქვს, არა გაქვს დისტანცია, უბრალოდ, ცნობიერება წერტილოვანი ხდება. ეს ქმნის მასობრივ ანტიცნობიერებას. სხვა ვითარებაა, როცა 96 პროცენტი შედეგად გვაძლევს მასას, ეს რეზულტატია და არა, ასე ვთქვათ, მონაწილეთა მასობრივი მისია. საარჩევნო ყუთთან ყოველი ადამიანი ცალკე, თავ-თავისთვის მიდიოდა..

**— მაგრამ საარჩევნო ყუთთან მისული, იგი აკეთებდა არჩევანს. ეს გაცნობიერებული არჩევანი იყო, თუ იგი იმავე იმპულსის კარნახით მოქმედებდა?**

— ეს რომ გაცნობიერებული არჩევნები იყო, აშკარაა, ამჟამინდელ არჩევნებში იმ ხალხმაც მიიღო მონაწილეობა, გასულ არჩევნებში 87 პროცენტი რომ შეადგინა.

მე ჩემს სატელევიზიო გამოსვლაშიც ვთქვი და ვიმეორებ: არსებობს სამგვარი არჩევანი: არჩევანი გულით, არჩევანი გონებით, არჩევანი კუჭით .სამივე უფლებამოსილი არჩევანია.

ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნებში მონაწილეთა რიცხვია, რომელიც ერთსულოვნებას გამოხატავს. მასებზე რომ ვლაპარაკობთ, მასების ერთსულოვნება ყოველთვის გამოხატულია ანტიცნობიერ მოქმედებაში. ამ შემთხვევაში კი ეს ასე არ იყო. ამჯერად იყო ძალიან დიდი შინაგანი წინააღმდეგობა პიროვნებაში, რომელიც ცდილობდა რამე ეღონა. და მან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, გამოხატა თავისი ნება! გადაწყვეტილებაც შემთხვევითი იყო. არავინ ელოდა მას. ესეც კიდევ ერთი ნიშანი. მე საქართველოში 10 ოქტომბერს ჩამოვედი. იმ ცნობებით, რომელიც დასავლეთში მოდიოდა ,საქართველოში არჩევნები სათუო იყო. არავითარი გარანტია არ არსებობდა იმისაც, რომ ე. შევარდნაძე მიიღებდა ამდენ ხმას.

**—უეცრად ამდენი სრულიად განსხვავებულ პოზიციებზე მდგომი ადამიანი აძლევს მას ხმას... ამას ხომ სჭირდება კომენტარი?**

— წინა არჩევნებში აირჩიეს უკვე დანიშნული პრეზიდენტი, აირჩიეს სსრ კავშირის მოქალაქე ამავე ქვეყნის მოქალაქეებმა. რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა ამჟამად. წინა არჩევნებში იყო სსრ კავშირის შიგნით არსებული არჩევნები, ამჟამინდელი კი — „ესენგეს" გარეთ, დამოუკიდებელი, უკვე აღიარებულ ქვეყანაში, ამასთან, აირჩიეს პიროვნება, რომელიც შეფასებულია 6 თვის განმავლობაში მისი ნამოქმედარით. ამიტომ არ არის ეს მასობრივი და იგივეობრივი იმ ალტერნატივისა, რომელიც მაშინ არსებობდა, მაშინ გარკვეულწილად მატყუარა სიტუაცია გახლდათ — ალტერნატივა თითქოს ნათელი იყო, მაგრამ მთელი მექანიზმი — ყალბი. ასე ვთქვათ, ის იყო ტყვეობაში, ციხეში გამოთქმული ნება, თუმცაღა იმპულსი აშკარა იყო. ბევრისგან მსმენია, კომუნისტებს არ მივცემ ხმას და სხვას ვისაც გინდათ...

**— დიახ, მაგრამ იგივე ხალხმა, ვინც გასულ არჩევნებში 87 პროცენტი შეადგინა, აშკარადაც გამოხატა თავისი ნება, და შეადგინა 95 პროცენტი, უკან მობრუნებულმა კი ასეთი ჭორიც აგორა: შევარდნაძემ სპეციალურად მოაქცია საქართველო ისეთ ჩიხში, რომ ხალხს სხვა არჩევანი არ დარჩენოდაო...**

— სამწუხაროდ, თქვენზე, — ვგულისხმობ იმათ, ვინც მთელი ამ პროცესების თვითმხილველი იყო, — ემოციები უფრო მოქმედებს, ვიდრე სინამდვილე. ეს ჭორები უფრო განწყობის ფაქტორზე მოქმედებს, ვიდრე რეალურ საქმეებზე. სინამდვილე კი ის არის, რომ შევარდნაძემ აქცია საქართველო იმ წერტილად, სადაც შეიძლება მსოფლიო მნიშვნელობის გეოპოლიტიკური ინტერესები იყრიდეს თავს, მაგრამ ეს მისი გაკეთებულია. აი, ამ ცხადი სინამდვილიდან გააკეთა ხალხმა არჩევანი, შემდეგ კი იწყება კეკლუცობა საკუთარ წარსულთან, თავის პოზიციასთან...

**— თქვენ სამი სახის არჩევანზე ბრძანეთ. რომელი იყო ამ სამიდან ამ შემთხვევაში, თუ ეს იყო მეოთხე არჩევანი?..**

— შესაძლოა ეს იყო სინთეზი სამივესი.

**— ხომ არ იყო ეს გადარჩენისთვის არჩევანი, ახლა საქართველო ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და მან აქედან თავის დახსნა უნდა, იმედს ხომ არ ჩაებღაუჭა?**

— ეს იყო ერთი კაცის არჩევნები. ერთ კაცს არჩევა არ სჭირდება, ერთ კაცს დადასტურება სჭირდება. პოლიტიკა არის post factum. პოლიტიკაში არასოდეს აფასებ წინასწარ. რას ნიშნავს მიყვარს პრეზიდენტი ან არ მიყვარს პრეზიდენტი?.. შეიძლება გიყვარდეს შვილი, მეგობარი, ზოგს პურმარილიც უყვარს. პოლიტიკურ მოღვაწეს სიყვარულით არ ირჩევენ. მას იმიტომ ირჩევენ, რომ მოაწესრიგოს ის სფერო, რომელიც მიანდეს. თუ იგი ამას ვერ შესძლებს. გადავირჩევთ, გადავაგდებთ მაინც. ეს ფუნქციაა.

ერთი სიტყვით, ის, ვისაც ვირჩევ, ჩემი მსახურია, მე არასოდეს ვარ მისი მსახური. ეს შებრუნდა ტოტალიტარული რეჟიმის დროს და რაც მიიღეს, ყველამ ვნახეთ.

**— ცენტრალური საარჩევნო კომისიის კულისებში ასეთ საუბარს შევესწარით- ბოლოსდაბოლოს, ობოლენსკის ვარიანტი მაინც ხომ შეიძლებოდაო... ცხადია, ის ჰქონდათ მხედველობაში, რომ არჩევნებში ბატონ შევარდნაძეს ალტერნატიული კანდიდატურა არ ჰყავდა. ჩანს, მაინც გვაქვს მოთხოვნილება ობოლენსკისა თუ სპექტაკლისა..**

— არა გვაქვს უფლება გავიმეოროთ ისეთი მაგალითები, რომლებიც შემდეგ საეჭვოს გახდის ჩვენს მოქმედებას. სამისოდ არც დრო გვაქვს და არც უფლება. რასაკვირველია, შეიძლებოდა, ყველა პარტიას წამოეყენებინა თავისი წარმომადგენელი, მაგრამ მას ექნებოდა პროგრამა მხოლოდ, აქ კი — ის რეალური საქმეებია, რომლებიც გაკეთდა. მეორეს მხრივ რა საჭიროა? ჩვენ დღეს გვჭირდება კანონმდებელი ორგანო და ძლიერი პოლიტიკოსი, რომელიც შეძლებს საქართველოში კანონის საფუძველზე ჩვენთვის სასურველი წყობის ორგანიზებას.

**— არჩევნებში გააქტიურდნენ ყოფილი პარტიული და საბჭოთა მოღვაწეები. ამან საზოგადოების გარკვეულ წრეებში „ძველი დროის რეანიმაციის ილუზია" შექმნა. თუ გსურთ მშვიდობა, ხმა მიეცით „მშვიდობას", მიმზიდველი ლოზუნგი შესთავაზეს მშვიდობას დანატრებულ ამომრჩეველს ბლოკ „მშვიდობის" წარმომადგენლებმა და ყველაზე მეტი ხმაც მიიღეს. მართალი გითხრათ, „ძველი დროის რეანიმაციის ილუზია" მხოლოდ ილუზია და მეტი არაფერია, მაგრამ ხომ არსებობს ბიუროკრატიული ცნობიერება?**

— ტოტალიტარიზმიდან გამოსვლის რეინკარნაციის ტექნოლოგია დაფუძნებული იყო სტრატეგიაზე, რომელსაც ისტორიით გართობა შეიძლება დავარქვათ. ეს ისტორიით შეპყრობა, ესე იგი, აქამდე ისტორიიდან გათიშული მასების ცნობიერება დატვირთეს ისტორიით და თავი შეგვიბრუნდა. წარმოიდგინეთ თოჯინა, რომელსაც შებრუნებული თავი აქვს — უკან იხედება. ასეთ მდგომარეობაში ვართ, წინ მივდივართ და უკან ვიხედებით. ჩვენი ცნობიერება დატვირთულია ჩვენი წარსულით და არა საქმით, რომელიც უნდა ვაკეთოთ.

რეჟიმის აღდგენაზე საუბარი, უბრალოდ, არასერიოზულია, მაგრამ, რასაკვირველია. არსებობს ბიუროკრატიული აპარატი, ბიუროკრატიული ცნობიერება, დიდი საფრთხე თავისუფლებისათვის, დიდი გაგებითაც, მაგრამ მერე რა? კომუნისტური იყო საქართველო, მაგრამ ეს იყო. „მოვკლათ წარსულ დროებზე დარდი", საზოგადოება უნდა გამოიყოს აპარატისა და ხელისუფლებისაგან. ჩვენი ცხოვრება, ასე ვთქვათ, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება — კანონის, კანონის შემსრულებლისა და საზოგადოებრიობისაგან. აქედან პირველი ორი ორგანოა, ფუნქციაა, საზოგადოების წილი კი გაცილებით დიდია. ეს თვით ცხოვრებაა.

**— არჩევნებში, როგორც ვიცით, 47 პარტია მონაწილეობდა. თქვენ იცნობთ ქართულ ბუნებას და დასავლურ პრაქტიკას. როგორ ახსნიდით ესოდენ პატარა ქვეყანაში ამ რაოდენობის პოლიტიკური პარტიების არსებობას, მით უფრო, რომ პარტიების შექმნა გრძელდება...**

— ერთი სახუმარო გამოთქმა იყო: ერთი ქართველი ქართველია, ორი ქართველი — სუფრაა, სამი ქართველი — პარტიაა.

ჩვენ საქმე გვაქვს ერთი პარტიული სისტემიდან გამოსვლასთან. ერთი არასოდეს იშლება ორ ან სამ ნაწილად: ერთი ბევრ ნაწილად იშლება. ეს ბუნებრივი პროცესია. ჩვენ ვედრებით ორასწლიან, ათასწლიან, გნებავთ, შვიდასწლიან (ინგლისი რომ ავიღოთ) გამოცდილებას და გვინდა, რომ ამ პროცესში ჩავჯდეთ. ჩვენ შედეგებს ვეძებთ, პროცესის გამოტოვება გვინდა. ასე არ ხდება. 70 წელი ვინგრეოდით, ამას დაუმატეთ წინა 200 წელიც, ამ დაღმართში 200 წლის განმავლობაში ჩავდიოდით, ამოვირბინეთ 6 თვეში! დაშლილია ჩვენი ცნობიერება: ჩვენ ჯერ არ ვართ ცნობას მოსული. ჩვენ ახლა მოვდივართ გონს, მოვდივართ ომის, დავიდარაბის პირობებში, ათასი პროვოკაციის ფონზე...

**— ანუ. როგორც ბატონი მერაბ მამარდაშვილი იტყოდა, გამოვდივართ იმ გვირაბიდან, რომლის ბოლოშიც ჩვენივე თავი უნდა დავინახოთ..**

— მეც იმავე გვირაბიდან გამოვდივარ. ეს ბნელი გვირაბი ჩვენშია გათხრილი, ეს არის ჩვენი თავიდან გამოსვლის პროცესი, და ამ გამოსვლისას ყოველმა უნდა დაინახოს თავისი თავი. მაგრამ სიბნელიდან სინათლეში გამოსვლას თავისი წესი აქვს — უცებ თვალი გეჭრება, თვალთ გიბნელდება. ბრმად რომ არ გაიარო, უნდა შეყოვნდე. შეყოვნება არის ყველაზე ძლიერი წერტილი ამ გამოსვლის პროცესში. თუ ვერ შეყოვნდი, ბრმად გაივლი, ესე იგი, შეიძლება გადაიჩეხო. არჩევნები არის შეყოვნების წამი. მაგრამ თვალის გახელის შემდეგ ჯერ აციმციმდება, ვარსკვლავები აირევა, ნათელი სურათი შემდეგ მოდის.

---

**აუცილებელი განმარტება**

# ვინ დაიცავს პენსიონერს სოციალურად

**ასმათ ძებისაშვილი,**
იურისტი.

**საქართველოს** რესპუბლიკის მთავრობამ მიმდინარე წელს არაერთი დადგენილება მიიღო ფასების ლიბერალიზაციის პირობებში მოსახლეობის, მათ შორის პენსიონერთა სოციალური დაცვისათვის.

დადგენილების საფუძველზე სხვადასხვა დროს, კერძოდ, 15 იანვრიდან, 1 თებერვლიდან, მაისიდან, აგვისტოდან და ოქტომბრიდან გარკვეული თანხით გაიზარდა პენსიები.

პენსიების მომატება 1 თებერვლიდან და შემდგომ პერიოდშიც შეეხოთ მხოლოდ არამომუშავე პენსიონერებს.

მომუშავე პენსიონერებს პენსიების მომატება (გარდა 15 იანვრიდან გაორმაგებისა) არ შეხებიათ, ვინაიდან პენსიების ზრდის პარალელურად ხდებოდა ხელფასების მომატება და მათი სოციალური დაცვაც ამ თვალსაზრისით განხორციელდა.

მომუშავე პენსიონერებისათვის ადრე დაწესებული შეზღუდვების გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის საფუძველზე, 1992 წლის 1 ოქტომბრიდან ყველა მომუშავე პენსიონერს, თანამდებობის მიუხედავად, პენსია ხელფასთან (შემოსავალთან) ერთად მიეცემა სრულად, ყოველგვარი ზღვრული ოდენობის დაუწესებლად.

აღნიშნულმა დეკრეტმა გააუქმა მომუშავე პენსიონერებისათვის ის ზღვარი, ე. წ. „ჭერი", რომლითაც იზღუდებოდა ხელფასთან ერთად პენსიის გაცემა.

ვინაიდან დეკრეტით გათვალისწინებულია მხოლოდ და მხოლოდ პენსიის გაცემის დროს მომუშავეთა მიმართ ზღვრის მოხსნა, იგი არ გულისხმობს არამომუშავე პენსიონერებისათვის დაწესებული დამატებებისა (პურის კომპენსაცია) და სხვა მომატების მათზე გავრცელებას.

რაკი საუბარი მომუშავე პენსიონერებს ეხება, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებასაც, რომელიც ამჟამადაც და განსაკუთრებით შემდგომ პერიოდშიც დიდ მნიშვნელობას შეიძენს.

მომუშავე პენსიონერებს, რა სახის პენსიასაც უნდა ღებულობდნენ (გარდა მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიებისა), პენსიები მიეცემათ სამუშაო ადგილის მიხედვით. ის გარემოება, რომ ე. წ. ზღვარი გაუქმდა, მომუშავე პენსიონერს, მათ შორის ომის ინვალიდსაც, არ აძლევს უფლებას პენსია მიიღოს ფოსტისა და შემნახველი ბანკის (გარდა პერსონალური პენსიონერებისა) მეშვეობით, როგორც არამომუშავე პენსიონერმა.

მომუშავე პენსიონერი, რომელიც მუშაობას დაიწყებს ისე, რომ საქმის კურსში არ ჩააყენებს სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას და პენსიას მიიღებს იმ მომატებითურთ, რომელიც მხოლოდ არამომუშავე პენსიონერებისათვის არის დადგენილი, მატერიალური პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება. ზოგიერთი ამას აკეთებს შეგნებულად, კანონის გვერდის ავლით, ზოგიც უვიცობის გამო, თუმცა პენსიის დასანიშნად განცხადების ფორმაზე ხელმოწერის ადგილას მითითებულია, რომ ვალდებულია მუშაობის დაწყებისთანავე აცნობოს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა.

მუშაობის ფაქტის გამოვლენისთანავე უკანონოდ მიღებული პენსიის თანხის დაკავება ხდება პენსიონერთა სურვილის შესაბამისად, ან ერთბაშად, სრულად, ან ნაწილ-ნაწილ ყოველთვიურად პენსიიდან 20-20 პროცენტის ოდენობით, ან თანხის ოდენობის გათვალისწინებით სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად მის სრულ დაფარვამდე.

მოქმედი კანონმდებლობით, როგორც მოგახსენეთ, პენსიონერი ვალდებულია მუშაობის დაწყება აცნობოს სოცუზრუნველყოფის განყოფილებას. ასეთივე წესია დადგენილი, საწარმო დაწესებულებებისა და ორგანიზაციათა მიმართაც, ისინი ვალდებული არიან პენსიონერის სამუშაოზე მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა შეტყობინება გაუგზავნონ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სოცუზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას, თორემ სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპით მათაც შეიძლება დაეკისროთ მატერიალური პასუხისმგებლობა.

მომუშავე პენსიონერთა გამოვლენისა და ზედმეტად მიღებული საპენსიო თანხის აღსადგენად მუშაობა მიმდინარეობს და კიდევ უფრო გაძლიერდება. ამიტომ აუცილებელია თვით მომუშავე პენსიონერებმა, რომლებიც პენსიებს ღებულობენ როგორც არამომუშავეები, სოცუზრუნველყოფის რაიონული განყოფილებებიდან მიიღონ პენსიის გასაცემი დავალებები (ფორმა № 25) სამუშაო ადგილზე მათ წარსადგენად. მუშაობის ფაქტის დამალვის შემთხვევაში ისინი ორმაგად დაზარალებული აღმოჩნდებიან მომავალში. ჯერ ერთი, რომ დავალიანება ექნებათ დასაფარავი, ხოლო მეორე — ახალი საპენსიო კანონის მიღებისა და ძალაში შესვლის შემდეგ მაღალი პროცენტის დასარიცხად სტაჟში არ ჩაეთვლებათ ე. წ. „ფარულად" ნამუშევარი პერიოდები.

გარდა ამისა, მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ კიდევ ერთ საკითხს, კერძოდ, მეცნიერ-მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფას.

მეცნიერ მუშაკებს უფლება აქვთ ერთ-ერთი პენსია დაინიშნონ ორი სხვადასხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე თავიანთი არჩევით — ან მეცნიერ მუშაკებისთვის დადგენილი წესითა და ნორმებით, რაც გაცილებით მეტია ან ჩვეულებრივი, სხვა მუშა-მოსამსახურეებისთვის დადგენილი წესითა და ნორმებით.

არჩევის დროს გასათვალისწინებელია ერთი ძირითადი გარემოება. მეცნიერ მუშაკთა პენსია ინიშნება მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოდან გათავისუფლების შემთხვევაში. ეს კი პენსიის დანიშვნის აუცილებელი პირობაა. მუშაობის პერიოდში ამ პენსიაზე ე. წ. ჭერი კი არ მოქმედებს, არამედ ნორმაა, კანონის მოთხოვნაა, რომ არ გაიცემა.

ყოველივე ამის გამო მეცნიერ მუშაკებს, რომლებიც მანამდე არ ინიშნავდნენ ან არ ღებულობდნენ პენსიებს მუშაობის გამო, უფლება ენიჭებათ დაინიშნონ და მიიღონ კიდევაც ჩვეულებრივი წესით პენსიები, ხოლო გათავისუფლების შემდეგ აღიდგინონ (დაინიშნონ) მეცნიერი მუშაკის პენსიები.

**კარიკატურისტის კომენტარი**


სასწრაფოს ექიმი მიყავს, ბენზინი არ ჰქონიათ.

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

# ომის ისტორიის ფურცლები

**დიდი** სამამულო ომის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კავკასიისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლას. ამ დღეებში სწორედ ამის გამო მოეწყო დიდი ღონისძიება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში — კავკასიისათვის ბრძოლის 49 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტმა, საქართველოს ვეტერანთა რესპუბლიკური და საქალაქო საბჭოს მიერ მოწყობილი კავკასიის ბრძოლის 49-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა პოლკოვნიკმა, აკადემიკოსმა გიორგი ციციშვილმა, საინტერესო მოხსენება — „საქართველო კავკასიისათვის ბრძოლაში“ წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა კარლო ცქიტიშვილმა.

სიტყვით გამოვიდნენ ვეტერანები დ. ჯაბუა, ა. კობაიძე, ლ. პეტროსიანი, პ. შამათავა, ი. კეზერაშვილი.

## ეს ჩვენი საქართველოა!

მომავლის დაბადება.

დავით იაკობაშვილის ფოტო.

### მწარე სიმართლე

# ტყიბულში ხანძარია... მაშველს თბილისიდან მოველით

გივი გეწაძე

**ეს სიტყვები** ცნობილ მეშახტეს დემურ ზოსიაშვილს ეკუთვნის, კულტურის სასახლეში სახელდახელოდ გამართული გულახდილი დიალოგის დროს რომ თქვა.

როცა ხანძარი გაჩნდება, უპირველესად მის ჩაქრობას ლამობენ. თუმცა ზოგჯერ მშველელებს (მეხანძრეებს) დროზე ვერ ატყობინებენ. კურიოზიც ხდება, შეიძლება ხანძრის ჩასაქრობი წყალი, ან სხვა საშუალებებიც არ აღმოჩნდეს განკუთვნილ ადგილზე, ან კიდევ — არის იმის შემთხვევები, როდესაც ხანძრის ჩასაქრობად საზოგადოება პასიურობს და მაყურებლის როლში გამოდის. უფრო მეტიც — ზოგიერთი ფაქტორი ხანძრის გაღვივებას უწყობს ხელს (მაგალითად, ქარი). შემდეგ ხდება ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენა და ხშირად მის მიზეზად უწესივრო ელექტროგაყვანილობას ასახელებენ და არა ხელმძღვანელი, პასუხისმგებელი პირების უპასუხისმგებლობას. ამ გზით იოლად ხდება მატერიალური ზარალის ჩამოწერა (არარსებული „ზარალის“ მითვისებაც). ამ დეტალებმა იმიტომ გაგვიტაცა, რომ ისინი კარგად მიესადაგება ამ დღეებში ტყიბულში გაჩენილ „ხანძარს“.

ჯერ იყო, და ნაპერწკალი გააჩინა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმდინარე წლის 28 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულმა მასალამ „კვლავ დარღვევები“. რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრესცენტრმა ფართო მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანა საწარმოო გაერთიანება „საქნახშირში“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის შედეგები, რომელმაც გარკვეული რეზონანსი გამოიწვია. ქალაქში გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა. შემდეგ ამას ის დაემატა, რომ 28-29 ოქტომბერს სამუშაოდ არ გავიდნენ „დასავლეთის“, ხოლო შემდეგ იმერეთის სახელობის შახტის მეშახტეები.

მიზეზი?

ქალაქში არ გამოცხვა პური (ზონის სოფლებში კი კარგა ხანია, რაც ასეთი სავალალო მდგომარეობაა). პურკომბინატს, მიუხედავად დიდი მცდელობისა, პურის ფქვილის ერთი დღის მარაგიც არ გააჩნია და იგი ყოველდღიურად დიდი ვაი-ვაგლახით შემოაქვთ ქუთაისის წისქვილკომბინატიდან. ხშირად არ არის საწვავი, ხან ყოველდღიურად საჭირო რაოდენობის ფქვილს არ იძლევიან, ზოგჯერ კიდევ დაგვიანებით აწოდებენ, ხან ფქვილსაზიდი ავტომანქანა გამოდის მწყობრიდან და სხვ.

მოკლედ, მიზეზები მრავალია, მაგრამ ხალხი მიზეზებს როდი კითხულობს. იგი მხოლოდ პურს მოითხოვს, თანაც გრაფიკისა და დაწესებული ნორმის სრული დაცვით, ამასთანავე ხარისხიანს (ფქვილის ცუდი ხარისხიც არ აინტერესებს), ზუსტი წონით და ა. შ. შეფერხების დროს იერიში პირდაპირ პურკომბინატზე მიაქვთ. ნორმალური მუშაობის საშუალებასაც არ აძლევენ ქარხანას.

უბენზინობამ მთელი დესტაბილიზაცია შეიტანა მომსახურების ყველა სფეროში. გაჭირვებამ ერთი სიახლე დაბადა (შეიძლება ეს სიახლე სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც გაითვალისწინონ). პურის სპეციალური მანქანები დიზელის საწვავით მომუშავე სატვირთო ავტომანქანებს ბუქსირით გამოაბეს და ამ მეთოდით მიაქვთ პური მაღაზიამდე თუ კვების ობიექტებამდე.

— ქალაქში ავტობუსები არ მოძრაობს, სოფლებთანაც აღარ გვაქვს კავშირი. გაერთიანება „საქნახშირის“ აპარატის მუშაკები კი, რომლებიც ქუთაისში ცხოვრობენ, ყოველდღე როგორ დადიან სპეციალური ავტობუსით 40 კილომეტრ მანძილზე ქუთაისიდან ტყიბულში და ტყიბულიდან ქუთაისში?, — ასეთი აზრი დაებადა მეშახტეთა ერთ ჯგუფს და 29 ოქტომბერს, 17 საათზე პიკეტირება გაუკეთეს ავტობუსს, რომელიც ინციდენტითაც კი დამთავრდა.

აი, ამ ნაპერწკლებიდან გაჩნდა 30 ოქტომბერს „ხანძარი“. 600-მდე მეშახტე, მათი ოჯახის წევრები თუ სხვა პროფესიის ადამიანები მშრომელთა კომიტეტის კავშირის ინიციატივით კულტურის სასახლეში შეიკრიბნენ. უმიკროფონო და უტრიბუნო დარბაზის სცენაზე გამოსვლებში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მშრომელთა კომიტეტის წევრები, რიგითი მეშახტეები, პარტიებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ადგილობრივი მმართველობის გამგეობის წევრებიც აიძულეს პასუხი გაეცათ მეტად არასასიამოვნო კითხვებზე. დარბაზიდან კი რეპლიკებით, შეძახილებით თუ ოვაციებით ნამდვილად ხელს უწყობდნენ ამ ხანძრის გაღვივებას. თითქოს დიალოგი გულახდილი იყო და კრიტიკის ქარცეცხლში გაიმართა, მაგრამ იგი მაინც სასამართლო პროცესს უფრო მოგვაგონებდა. მეტად სერიოზული და სხვადასხვა ბრალდებები წაუყენეს ადგილობრივი მმართველობის გამგეობის, საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“, ქალაქის საკრებულოს, სავაჭრო და სატრანსპორტო ორგანიზაციების, ნავთობბაზის, პოლიციის, ხრესილის საკონსერვო ქარხნის, კოოპერატივებისა და კომერციული ფირმების და სხვა სამსახურების ხელმძღვანელებს. სამწუხაროდ, „საქნახშირის“ გაერთიანების ხელმძღვანელობიდან „სასამართლოს“ წინაშე არავინ წარმდგარა, ხოლო ამ გაერთიანების ზოგიერთი რიგითი წარმომადგენელი საზოგადოებრივი ბრალმდებლის როლშიც კი გამოვიდა. ბრალდებულები და მოწმეები მრავლად იყვნენ. თუმცა ფასიანი დამცველიც ხომ იყო საჭირო და ასეთებიც გამოჩნდნენ

გამგეობის თავმჯდომარის რევაზ შეშინაძის გადადგომის, მისი მოადგილეების და თანამდებობის სხვა პირების მკაცრი პასუხისმგებლობის შესახებაც გაამახვილეს ყურადღება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეკრებაზე გამოიკვეთა მოწოდება საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ შენობის პიკეტირებისა და გენერალური დირექტორის გადადგომის აუცილებლობის შესახებ.

ტყიბულში დანთებული ოთხსაათიანი „ხანძრის“ შესახებ ამ წერილის მეშვეობით ვფიქრობთ, დროულად ვაცნობოთ მშველელს, საჭიროა ჩასაქრობი წყლისა და სხვა საშუალებების დროული გამოყენება, თორემ ვინ იცის, ხვალ რას მოიმოქმედებენ ხანძრის ხელოვნურად გამღვივებელნი. მთავარია, ახლა ეს ხანძარი მალე ჩავაქროთ, ვიდრე არ გავრცელებულა. თუმცა შეკრებაზე ამ „ხანძრის ჩასაქრობად“ კომისია აირჩიეს, მაგრამ შიშველი ხელებით, „ზემოდან“ დაუხმარებლად საეჭვოა კომისიამ რაიმე გადაჭრას.

ტყიბულელებს აქვთ არა მარტო მიწისქვეშა ხანძრების, არამედ ასეთი ხანძრების მწარე გამოცდილება და კარგად იცნობენ კიდეც მათგან გამოწვეული პირადი თუ საზოგადოებრივი ზარალის შედეგები. ძველი გაკვეთილების გახსენება არავისთვის არ იქნებოდა ურიგო. მით უმეტეს დღეს, როცა ომის ხანძარი გიზგიზებს საქართველოს მიწაზე, მშვიდობიან რეგიონებში მაინც უნდა დავიცვათ „სახანძრო უშიშროების წესები“.

უნისონი

ფირმა "უნისონი" გთავაზობთ თქვენი რეკლამის განთავსებას საქართველოს აეროპორტებსა და თვითმფრინავებში, პორტებსა და გემებზე, თბილისის მეტროპოლიტენსა და საქალაქო ტრანსპორტზე.

ფირმა "უნისონი"-ს საშუალებით თქვენი რეკლამა შემოივლის მთელ მსოფლიოს!

გახსოვდეთ! რეკლამა ტრანსპორტზე - ყველაზე იაფი, ხანგრძლივი და მომგებიანია თქვენი ბიზნესისათვის!

380008, თბილისი, რესპუბლიკის მოედანი №1,
სასტუმრო „ივერია“, I სართული, ოთახი 120.
ტელეფონი: 93-05-00, ფაქსი 98-96-39

### ფიშერ-სპასკის მატჩი

# იქნებ დღეს?!

**როგორც ჩანს,** ბელგრადში მალე დამთავრდება „XX საუკუნის დიდი მატჩ-რევანში“ რ. ფიშერსა და ბ. სპასკის შორის. ამჟამად, ოცდამერვე პარტიის შემდეგ ანგარიშია 9:5 (14 ყაიმი) ამერიკელი დიდოსტატის სასარგებლოდ. მას მხოლოდ ერთი პარტიის მოგება სჭირდება მატჩში გამარჯვებისთვის.

ფიშერის ქომაგები ფიქრობდნენ, რომ მათი კერპი წერტილს დაუსვამდა მატჩს ბოლო, მეცხრე „სამუშაო კვირაში“, მაგრამ ასე არ მოხდა. სპასკი გაჯიუტდა, კერკეტ კაკლად იქცა.

ოცდამეხუთე პარტიაში, რომელშიც კვლავ სიცილიური დაცვა გათამაშდა, ფიშერმა პაიკებით მძაფრად შეუტია სპასკის გვირგვინოსანს. იერიში იმდენად ეფექტური იყო, რომ სპასკიმ ვერ მოიგერია იგი. ანგარიში გახდა 9:4 ფიშერის სასარგებლოდ. თითქოს მატჩში გამარჯვება ახლოს იყო, მაგრამ ფიშერმა ვერ მოიგო მომდევნო პარტია. პირიქით, თავად დამარცხდა. ოცდამეექვსე პარტიაში სპასკი დაუბრუნდა ლაზიერის პაიკით თამაშის დაწყებას. ფიშერმა ყრთულის ინდურ დაცვას მიმართა. სხვადასხვა ფლანგზე მეფეთა გახიზვნისთანავე მეტოქენი სალაშქრო სამზადისს შეუდგნენ. სპასკი უფრო მარჯვედ მოქმედებდა, რამაც გადაწყვიტა კიდეც პარტიის ბედი. ცხარე ბრძოლაში მან ფიშერს ფარ-ხმალი დააყრევინა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა (5:9). არანაკლებ ძლიერად მიმდინარეობდა ოცდამეშვიდე და ოცდამერვე პარტიები, რომლებიც ყაიმით დამთავრდა. პირველში ფიშერმა თავისი საყვარელი ესპანური პარტია გაითამაშა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ჩანს, სპასკი საგანგებოდ მოემზადა ამ შეხვედრისთვის როგორც მომდევნო პარტიისთვის, რომელშიც ინდური დაცვა გათამაშდა.

ჩოგანი

ფიშერის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ სიტუაცია მაინც დაძაბულია. ამერიკელის გულშემატკივრებს აფიქრებთ მატჩის „გაჭიანურება“, ცხადია, კვლავ დიდია ორთაბრძოლისადმი საზოგადოებრიობის ინტერესი.

ბელგრადში გამოდის მატჩისადმი მიძღვნილი სპეციალური ბიულეტენები, რომლებშიც ყველა პარტია იბეჭდება დაწვრილებითი კომენტარებითურთ. სხვათა შორის, ფიშერს ყველაზე მეტად მოსწონს თავისი ახლო მეგობრის, გამოჩენილი იუგოსლაველი მოჭადრაკის დიდოსტატ სვეტოზარ გლიგორიჩის შენიშვნები. გლიგორიჩი ამ მატჩის საპრესო ცენტრის თავკაცი და ფიშერის შტატგარეშე სეკუნდანტია. ყოველ საღამოს, ტელევიზია მოუთხრობს ბელგრადელებს მატჩის, კერძოდ თითოეული პარტიის პერიპეტიებზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია გაზეთ „იზვესტიაში“ (28. 10. 1992. №236) გამოქვეყნებულმა სტატიამ „პარტიული გამბიტი“, რომელშიც ნაამბობია, თუ როგორ „ეხმარებოდა“ სპასკის სკკპ ცენტრალური კომიტეტი ფიშერთან მის 1972 წლის მატჩში. ცნობილია, რომ სწორედ ამ „დახმარების“ შედეგად, სპასკი იძულებული იყო, დაეტოვებინა სამშობლო და საფრანგეთის მოქალაქე გამხდარიყო.

მაშ, ასე, ბრძოლამ მატჩში კულმინაციის მიაღწია. კაცმა რომ თქვას, რაღა დარჩა, მაგრამ სპასკი არ ცხრება. როდემდე? დღეს, 4 ნოემბერს, გაიმართება ოცდამეცხრე პარტია. შესაძლოა, იგი უკანასკნელი აღმოჩნდეს, მით უმეტეს, რომ ფიშერი თეთრებით თამაშობს.

გთავაზობთ კიდევ ერთ შედეგიან პარტიას:

• • •

**მეოცე პარტია**

**სიცილიური დაცვა**

**ბ. სპასკი-რ. ფიშერი**

**15 ოქტომბერი, 1992 წ.**

1. e4 c5 2. მe2 მf6 3. მbc3 e6 4. g3 მc6 5. კg2 კe7 6. 0—0 d6 7. d3 a6 8. a3 ლc7 9. f4 b5 10. მფh1 0—0 11. კe3 კb7 12. კg1 ეab8 13. h3 კa8 14. g4 b4 15. ab cb 16. მa4 მd7 17. ლd2 ეfc8 18. b3 a5 19. g5 კf8 20. ეa2 მe7 21. მd4 g6 22. მb2 კg7 23. მc4 d5 24. მ:a5 de 25. de e5 26. მe2 ef 27. მ:f4 მe5 28. მd3 ეb5 29. მ:e5 ლ:e5 30. მc4 ლ:g5 31. კe3 ლh4 32. მd6 კc3 33. ლf2 ლ:f2 34. ე:f2 ეbb8 35. მ:c8 ე:c8 36. ეa7 მფf8 37. კh6+ მფe8 38. კg5 f6 39. კ:f6 კ:f6 40. ე:f6 კc6 41. მფg1 კd7 42. ეd6 კc6 43. კf1. ფიშერი დანებდა.

**ნინო იმესაშვილი.**

გია პლატონიშვილი.

## რევანშის მოლოდინში

**ჩინეთის** ქალაქ შანხაიში დაიწყო პრეტენდენტ ქალთა ტურნირი, რომელშიც თანამედროვე საჭადრაკო ელიტის რამდენიმე თაობის 9 წარმომადგენელი ჩაება.

ქართველ გულშემატკივართა იმედები უკავშირდება გამოჩენილ დიდოსტატთა ტრიოს — ნონა გაფრინდაშვილის, მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის სახელებს, რომელთა გამოსვლაც გარკვეულწილად გაგვცემს პასუხს კითხვაზე: კანონზომიერი მოვლენა იყო ჩვენი საამაყო ჩემპიონებისგან ტახტის დათმობა, თუ საქმე გვაქვს შემთხვევითობასთან.

ასპარეზობის პირველმა შედეგებმა ცხადყო, რომ ბრძოლა პრეტენდენტთა ფინალური მატჩის ორი საგზურისათვის უაღრესად დაძაბული და მძაფრი იქნება. უეჭველია, რომ ორწრიანი დავა გამორიცხავს მოულოდნელობებს, და თითოეულ მონაწილეს, ბორჯომის ორი წლის წინანდელი ანალოგიური ტურნირისგან განსხვავებით, საუკეთესო შესაძლებლობა ეძლევა დაამტკიცოს თავისი ძალა და პრეტენზიების საფუძვლიანობა.

2 ტურის შემდეგ 1,5 ქულით დაწინაურდა გაფრინდაშვილი. თითო-თითო ქულა აქვთ ჩიბურდანიძეს, ცინს (ჩინეთი), ლევიტინასა (აშშ) და ჟუჟა პოლგარს (უნგრეთი). ამ უკანასკნელს ერთი გადადებული პარტიაც აქვს.

## სტარტზეა მეორე ეროვნული

**დღეს** იწყება საქართველოს მეორე ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა შორის. მასში რესპუბლიკის 11 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც 2 ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი.

ქართული კალათბურთის ფლაგმანი — თბილისის „დინამო“ (მთავარი მწვრთნელი — ლევან მოსეშვილი), რომელიც ახალი სეზონის წინ, სხვადასხვა მიზეზის გამო, წამყვან მოთამაშეთა დიდმა ჯგუფმა დატოვა, პირველ მატჩს ვერის ბაღში მდებარე კალათბურთის სასახლეში გამართავს რუსთავის „აზოტთან“.

შეგახსენებთ, რომ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში დინამოელებმა ასპროცენტიანი შედეგი აჩვენეს — ოციდან ოცი შეხვედრა მოიგეს. სპეციალისტების აზრით, მათი მთავარი მეტოქენი ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში იქნებიან დედაქალაქის გუნდები — „შევარდენი“, „მერანი“ და „დავითი“.

## რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტი გვატყობინებს

**საქართველოს** რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტმა „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების დროებითი წესების შესახებ“ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს ფარგლებს გარეთ გასატანად აკრძალული პროდუქციის ნუსხას დაუმატა პური და პურპროდუქტები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის ბრძანებით დაწესდა, რომ იმ პირებს, რომლებიც გადიან რესპუბლიკის გარეთ, უფლება ეძლევათ გაიტანონ ყველა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, პური, პურპროდუქტები და კვების პროდუქტები არა უმეტეს თითო კილოგრამისა.

საბაჟოების მიერ ჩამორთმეული პროდუქტები ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მეშვეობით გამოყენებული იქნება საქველმოქმედო მიზნებისათვის.

# ექსპრეს-ინფორმაცია

## ნანა კანდელაკს სიყვარული გაუმხილეს

**საქართველოს** მწერალთა სასახლეში პროზის სექციის ინიციატივით, გაიმართა ცნობილი მწერლის ნანა კანდელაკის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული შემოქმედებითი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა დავით მჭედლურმა.

მწერლის შემოქმედებაზე, მის ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობაზე ვრცლად ილაპარაკა პროზის სექციის თავმჯდომარემ რევაზ მიშველაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ კამილა კორინთელი, დოდო ქუმბურიძე, მზია ჩხეტიანი, გურამ გვერდწითელი, ვახტანგ ჯავახაძე, გრიგოლ ჭოლუხაძე, მერი ქელიძე, ცისანა ღლონტი, მზია ხეთაგური, ნოდარ გურეშიძე, ილია რურუა, ვალერიან მამუქელაშვილი. კასპის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ნორა ედიშერაშვილი, გიორგი ხორგუაშვილი, ლიდა სტვილიამ და გიორგი წერეთელმა წაიკითხეს იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსები, ხოლო თენგიზ გოგოლაძემ გადასცა მეგობრული შარჟი.

## გორს ვერას დააკლებს მეჯუდა

**რესპუბლიკური** გაერთიანება „საქწყალმშენის“ გორის „მტკვარწყალმშენის“ საიჯარო სამმართველოს (უფროსი — მერაბ სამხარაძე) კოლექტივმა ეს-ეს არის დაამთავრა მდინარე მეჯუდის ნაპირის გამაგრება ქალაქის ტერიტორიაზე. შესრულდა 1,5 მილიონი მანეთის სამუშაოები.

ამიერიდან გაზაფხულობით მდინარის ადიდება საშიში აღარ იქნება გორისთვის.

სამმართველოს მშენებლები რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვისაც ზრუნავენ. ამ დღეებში მათ თავდაცვის ფონდში 150 ათასი მანეთი გადარიცხეს.

## ამ დღეს „ინტერნაციონალს“ ვმღეროდით

**თავისებური** იუბილე აქვს ვოკალურ ტრიო „თბილისს“, რომელიც ამ ათი წლის წინათ შეიქმნა ამავე სახელწოდების ფოლკლორული ანსამბლის ბაზაზე. მისი წევრების — ზოოინჟინრის რამაზ გუნიავას, სამთო ინჟინრის ნუგზარ აფაქიძის და ინჟინერ-მშენებლის ზაზა მამალაძის ხელოვნებას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

და, აი, იუბილარი ტრიო 7 ნოემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში თავის საღამოზე ეპატიჟება ქართული სიმღერის მოყვარულთ.

კონცერტის შემოსავალი ეროვნული თავდაცვის ფონდში გადაირიცხება.

## მოიპარეს ვეფხვები

**ქუთაისში** რუსთაველის გამზირის ერთ-ერთ მონაკვეთს ამშვენებდა სპილენძის ჭედური ბარელიეფი — „ვეფხვები“. და აი, ახლახან ისიც მოიპარეს... მიზეზი ყველასათვის ცნობილია, განმკითხველი კი არა ჩანს.

საგანგაშო მდგომარეობაა ქუთაისში სატელეფონო კავშირის მხრივაც. იკითხავთ — ამას რა საერთო აქვს სპილენძის ვეფხვებთან? აქვს, ძვირფასო მკითხველო: ზოგიერთმა ქუთაისელმა არამზადამ მიწისქვეშაც არ დააყენა სპილენძის სატელეფონო კაბელი. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? — აღშფოთებულია ხალხი.

## ჯერჯერობით ოთხ მილიონამდე მანეთი

**გარდაბნის** რაიონის საწარმოებს, ორგანიზაციებს, ცალკეულ პიროვნებებს დაუშურებლად შეაქვთ თანხები საქართველოს თავდაცვის ფონდში. როგორც რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ შალვა გლოველმა გვაცნობა, სოფელ შინდისის ავტოგასაწყობმა სადგურმა ამ ფონდს შემოსწირა 20 ათასი მანეთი, სოფლის მოსახლეობამ კი, შეაგროვა და ფონდის ანგარიშზე ჩარიცხა 82 ათასი მანეთი, სოფლმშენის №1 ტრესტმა 100 ათასი მანეთი გაიღო, გარდაბნის „სოფლბინმშენმეურნეობამ“ — 40 ათასი, აგრომრეწვბანკის თანამშრომლებმა — 52 ათასი, ფირმა „ორნამენტმა“ — 100 ათასი, კოჭრის შრომათერაპიის სახელოსნომ — 10 ათასი, გამარჯვების მეურნეობამ — 12 ათასი, ქესალოს სასოფლო საკრებულომ 25 ათასი მანეთი და ა. შ.

მთლიანად რაიონში შეგროვებულია 4 მილიონამდე მანეთი. ფულის შემოტანა გრძელდება.

## „საქართველოს რესპუბლიკა“ — „ტყიბულს“

**ამ დღეებში** გამოვიდა საქალაქო გაზეთ „ტყიბულის“ მე-8.000 ნომერი (იგი 1931 წელს დაარსდა „ტყიბულის მაღაროელის“ სახელწოდებით). ამ მოვლენას რედაქციამ (რედაქტორი — ილია ბარბაქაძე) სპეციალური ნომერი მიუძღვნა.

აღსანიშნავია, რომ დღევანდელი ქართული ჟურნალისტური ოჯახის მრავალმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა პირველი ნათლობა სწორედ ამ გაზეთის რედაქციაში მიიღო.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ულოცავს ტყიბულელ კოლეგებს და წარმატებას უსურვებს ჩვენი მღელვარე ყოველდღიურობის ჭეშმარიტად ასახვის საქმეში.

# კრიმინალური ქრონიკა

**გურჯაანის** რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს უმუშევარი ბადრი ჭავარაშვილი, რომელმაც სოფელ კალაურში მცხოვრები ანზორ ჩახრაშვილის ბინიდან ტანსაცმელი და საოჯახო ნივთები მოიპარა.

**ბათუმში** პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს უმუშევარი დავით წილოსანი, რომელმაც თამაზ კაკაბაძეს ქუჩაში დანის მუქარით 7000 მანეთი წაართვა.

**ქუთაისში** პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს უმუშევრები ალექსანდრე მაჭარაძე და მერაბ სულავა, რომლებიც ბორის პაპიაშვილს იარაღის მუქარით 50 000 მანეთს ძალავდნენ...

...შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლები დამაფიქრებელ პროგნოზს იძლევიან: ეკონომიკური კრიზისის პირობებში დამნაშავეთა რიგებს მარტო უმუშევრები არ შეემატებიან...

**დამნაშავე** ქალთა უმრავლესობა მკვლელობას ერთი მიზნით სჩადის გაუსწორდეს ახლობელს ან ოჯახის წევრს. გამონაკლისი არც საგარეჯოში დატრიალებული ტრაგედია გახდა. იქ პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს მარგო მღვდელაძე, რომელმაც რკინის უროთი მოკლა თავისი ქმარი სოსო მღვდელაძე...

...თუმცა ქალებს დამნაშავეობის გზაზე არა მარტო დაუოკებელი ემოციები აყენებს.

თბილისში პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ფერშალა რასოიანი, რომელმაც მარინე გოგიჩაიშვილს პოლიკლინიკაში 1500 მანეთი ფული და პირადი ნივთები მოპარა.

**ქობულეთში** მცხოვრები ნაზი შაინიძის ბინიდან დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ტელევიზორი, 8020 მანეთი ფული და ტანსაცმელი მოიპარა.

**ბათუმში** დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა გაქურდა გურამ ბელიძის ბინა, საიდანაც მოიპარა 180.000 მანეთი ფული და საოჯახო ნივთები.

**ტყიბულის** რაიონის სოფელ კოლაში მცხოვრებ გრიგოლ ნოსელიძეს თავს დაესხა დანებით შეიარაღებული სამი ბოროტმოქმედი, რომლებმაც ბინიდან 5000 მანეთი ფული და ოქროს სამკაული გაიტაცეს.

ნანა მაყაშვილი.

### ცხონება

# ალექსანდრე გოთუა

გარდაიცვალა ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ ყოფილი თანამშრომელი, ტექნიკური ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ალექსანდრე გოთუა. იგი დაიბადა 1910 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწის და პუბლიცისტის პართენ გოთუას მრავალრიცხოვან ოჯახში. ა. გოთუა 64 წელი ემსახურა სოფლის ელექტრიფიკაციის კეთილშობილურ საქმეს. მისი უშუალო მონაწილეობით აშენდა სასოფლო დანიშნულების ჰიდროელექტროსადგურები, მათ შორის ალაზანჰესი, იგოეთჰესი და სხვა მრავალი. აგებული იქნა ათასობით კილომეტრი მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები.

ა. გოთუა 28 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ ერთ-ერთ მძლავრ და წამყვან ორგანიზაციას — თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს და თავის მოღვაწეობას წარმატებით უხამებდა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეს. 1962-1972 წლებში შეთავსებით მიწვეული იყო საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის კათედრაზე დოცენტად.

ცხოვრების ბოლო პერიოდში დასთან ერთად გამოაქვეყნა მოგონებები ძმის მწერალ ლევან გოთუას ცხოვრების შესახებ, სადაც აირეკლა ის არნახული სიმძიმე, რომელიც ერთობლივ გაიზიარა გოთუების ოჯახის ყველა წევრმა.

ბატონ ალექსანდრე გოთუას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების და თანამშრომლების გულში.

საქმთავარენერგოსა და ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ თანამშრომლები.

# ნიკოლოზ ველიჩკო

ბანდიტებთან შეტაკებაში დაიღუპა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის სამმართველოს განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ გრიგოლის ძე ველიჩკო. იგი დაეცა, როგორც ყაჩაღური თავდასხმის კიდევ ერთი მსხვერპლი, ესოდენ მძიმე სამხედრო სამსახურიდან გვიან ღამით სახლში დაბრუნებისას.

ნ. გ. ველიჩკოს 51 წელი შეუსრულდა ოქტომბერში, იმ თვეში, რომელშიც დაიღუპა. თბილისში დაბადებული, იგი იყო საქართველოს, მისი დედაქალაქის ერთგული, თავისი ყოველდღიური საქმიანობით ამტკიცებდა ამ ერთგულებას და ცდილობდა შეეტანა საკუთარი წვლილი თავისუფალი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების აღმშენებლობაში.

თბილისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქალაქის ერთ-ერთ საწარმოში, იყო თბილისის ყოფილი საარტილერიო სასწავლებლის კურსანტი, ხოლო 1979 წელს დაუსწრებლად დაამთავრა საარტილერიო აკადემია. 1980 წლიდან გადიოდა სამსახურს ქ. ქუთაისის, შემდეგ კი ქ. თბილისის სამხედრო ნაწილებში. ა. წ. მაისიდან დაიწყო სამსახური საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში. ნ. გ. ველიჩკო უხვად ახმარდა თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ძალებისა და ენერგიის აღზევებისას მოუსწრაფეს სიცოცხლე ბოროტმოქმედებმა ნ. გ. ველიჩკოს. ჩვენი არმიის ოფიცრის, მაღალკვალიფიციური სამხედრო სპეციალისტის, თავმდაბალი, გულისხმიერი, გულითადი ადამიანის, ჩვენი თანამშრომლის და მეგობრის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

სააქციონერო კომერციული ბანკი „ნარიყალა“ ინფლაციისათვის შეუვალი ციხე-სიმაგრეა!

დამფუძნებლები: საქართველოს მწერალთა კავშირი, ბერძნული კულტურის ცენტრი „ორფეოსი“, ფირმა „იბერია“ და საქართველოს სხვა წამყვანი ფირმები.

ანგარიშის გახსნა იურიდიულ და კერძო პირთათვის, საკრედიტო-საანგარიშსწორებო და ფულადი ოპერაციები, ინვესტიციები, ლიზინგი, სავალუტო ოპერაციები, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში თქვენი ინტერესების დაცვა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით — ყოველივე ეს გახლავთ ბანკ „ნარიყალას“ საქმიანობის სფერო.

მობრძანდით, დაგვირეკეთ. პრობლემები თქვენი — გადაწყვეტა ჩვენი!

ქ. თბილისი, მაჩაბლის [illegible]. ტელ.: 99-02-82, 99-98-58.

ორშაბათს, 1992 წლის 9 ნოემბერს მოწვეულია საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის მეორე ყრილობა.

ყრილობა გაიხსნება დილის 11 საათზე აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში (ლეონიძის ქ. № 11-ა).

ყრილობის დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 8 ნოემბერს დღის 12 საათიდან 17 საათამდე.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434